# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი — ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 78 — ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი, 1918 წ. — № 78


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


პავლე ფრანგიშვილი აუწყებს მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მისი ძვირფასი მეუღლე

**იულა გრიგორის ასული ფრანგიშვილისა.**

ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს დილით 10 საათზე, ტფილისში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში (კათოლიკეთა ქ., № 4).
819 — 1—1

## შავი ქვის საბაჟო

ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ საბჭოს კანტორა გადმოტანილ იქმნა ქუთაისიდან ტფილისში და მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე, სახლი № 19, მესამე სართულში.
820 1—1

## ფინანსთა სამინისტროსაგან.

თანახმად მთავრობის დადგენილებისა მიმდინარე წელს შემოსავლის კვალობაზე გადასახადის ვადები შემდეგია: 1. გადასახადის ფურცლების დაგზავნისა—1 ნოემბერი, 2. რაიონების საკრებულოების დადგენილების განსაჩივრებისა—15 დეკემბერი და 3. გადასახადის გადებისა: ა) წლიური გადასახადის პირველი ნახევარისა—1 ნოემბერი, ბ) მეორე ნახევარისა—31 დეკემბერი. პირველი ნახევარი გადასახადისა შეტანილი უნდა იქმნას ხაზინაში დამოუკიდებლად გადასახადის ფურცლების მიღებისა სარაიონო საკრებულოში წარდგენილ განცხადებებში აღნიშნულ შემოსავლის მიხედვით.
823 3—1


## კაფე „ერთობა"

კაფე „ერთობა", კაფე „ერთობა",
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯანსაღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.
ორ თავ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში" შვიდ მანეთს მისცემთ.
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას" მუდამ პატივს სცემთ.
ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას"
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებთ?
სადაც კი გინდათ დაგიგვიანდეთ
კაფე „ერთობის" სადილს მიასწრებთ. 25—13 680.

[illegible]

5 000 000 მან.

ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოთ.

პირველი მოგება 100000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

## ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.


## ყაზბეგის საბაჟოს გამგე

ამით აცხადებს საქართველოს სამხედრო გზით კავკავისკენ მიმავალთა საყურადღებოთ, რომ ვინაიდან გატანა საქართველოდან ყოველგვარი საქონლისა, რომელსაც კი ექნება სავაჭრო ხასიათი, გარდა ახალი ხილისა, ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ნებადაურთველად სასტიკად აკრძალულია, ამისათვის არავითარი თხოვნა დაინტერესებულ პირისა შესახებ რაიმე საქონლის გატანისა, თუ არ წარმოადგენს ხსენებულ ნებართვას, არ იქნება შეწყნარებული. საქართველოდან მიმავალ მგზავრებს უნდა ჰქონდეთ შესაფერი ნებართვა საზღვარ-გარედ გასვლისა.
817 3—1

## ოფიციალური განყოფილება

### კ ა ნ ო ნ ი

ახალი წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნისა.

1. დაარსდეს რესპუბლიკის ყოველ სოფლის სკოლასთან წიგნთ საცავ-სამკითხველო.

2. იმ სოფლის საზოგადოებაში, სადაც სკოლა ჯერ კიდევ არ არსებობს, წიგნთსაცავ-სამკითხველო გახსნილ იქნეს სოფლის სამმართველოსთან.

3. სოფლის სკოლებთან დაარსებული წიგნთსაცავ-სამკითხველოების გამგებლობა დროებით დაევალოს სკოლების ზედამხედველებს, ხოლო სოფლის სამართველოებთან-კომისრებს.

4. დღიდან საერობო თვითმმართველობის შემოღებისა წიგნთსაცავ - სამკითხველოები გადაეცეს საერობო დაწესებულებას და ამ უკანასკნელს დაევალოს მათი პატრონობა.

5. დაეთმოს უფასოდ ყველა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის" თითო ცალი ერთი წლის ვადით დღიდან სამკითხველოს გახსნისა.

6. ამ მიზნით გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ერთდროულად ასი ათასი მან. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში.

7. ამ კანონის განხორციელება დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

8. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

1918 წ. ოქტომბრის 22.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

### კ ა ნ ო ნ ი

შავი ქვის გადასაზიდი ტარიფის გადიდებისა.

ჭიათურიდან ფოთამდე შავი ქვის გადასაზიდი ტარიფი თითო ფუთისა გადიდებულ იქნეს 38.34 კაპეიკით და დაწესდეს, 19.26 კ. მაგიერ, 57,6 კაპეიკი.

2. ეს ტარიფი დაწესებულ იქნეს შავი ქვისათვის განურჩევლად იმისა, თუ რომელი სადგურიდანაც იქნება გაგზავნილი ფოთში ჭიათურა-ფოთის რკინის გზით.

1918 წ. ოქტომბრის 22.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

### განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

16 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 71.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ს: ტფილისის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწეთ მაგარი სასმელების უნცროსი კანტრალიორი გაბრიელ ადამაშვილი ამა წლის 1 ოქტობრიდან.

№ 72.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ ნ ე ნ: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების ბუღალტრის უფროს თანაშემწედ ვლადიმერ გეგეჭკორი 16 ოქტომბრიდან.

ამა სამინისტროს სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების სტატისტიკის გამგეთ გაბრიელ ბელაშვილი 20 ოქტომბრიდან.

№ 73.

ჩ ე მ ი ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ი ს გ ა მ ო ფინანსთა და ვჭრობა-მრეწველობის მინისტრის თანამდებობის დროებით აღსრულება ევალება ჩემს ამხანაგს კონსტანტინე პლატონის ძე კანდელაკს ამა წლის 24 ოქტომბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. ჟ უ რ უ ლ ი.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლიორისა.

15 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 8.

ტფილისის საკონტროლო პალატის კანცელარიის მოხელე ეგნატე ჟუჩკოვი 1918 წლის 27 ივლისის № 5, ჩემ მიერ გაცემულ ბრძანებით თანამდებობიდან განთავისუფლებულია 26 მაისიდან ამა წლის სამსახურში გამოუცხადებლობისათვის, ჩაირიცხოს თანამდებობიდან განთავისუფლებულად შტატის შემცირების გამო 1 აგვისტოდან, სალიკვიდაციო ფულის მიცემით.

№ 9.

თავისუფლდება თანამდებობის ასრულებისაგან საქართველოს რესპუბლიკის ხაზინიდან ჯამაგირის მიცემის შეწყვეტით, ტფილისის კონტროლის პალატის რევიზორის თანაშემწე კონსტანტინე პეტრენკო, საკანტროლო პალატის შტატების შემცირებისა და რეორგანიზაციის გამო.

სახელმწიფო კონტროლიორი გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება

ტფილისი, 30 ოქტომბერი,

ყველა ურიგდება ჩვენი სახელმწიფოებრივობის არსებობას, ყველა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას. მაგრამ მას ვერ ურიგდება, მას არ სცნობს მხოლოდ შინაური მტერი, რომელიც შემთხვევას ეძებს მის ჩასაწიხლავათ და გასანადგურებლათ.

ყველასათვის ცხადია, რომ საქართველო შიგნით და გარეთ ძლიერდება. საერთაშორისო ურთიერთობაში მისი მდგომარეობა თანდათან მტკიცდება.

სხვათა შორის ეს იქიდანაც სჩანს, რომ ახალ-ახალი სახელმწიფოები ერთი მეორეზე აღიარებენ მის დამოუკიდებლობას და მით უადვილებენ ჩვენს რესპუბლიკანურ სამშობლოს თავის ხელუხლებლობის და თავისუფლების დაცვა-უზრუნველყოფას დღევანდელ საერთაშორისო ასპარეზზე.

ამ მხრით ყველაზე უფრო სასიხარუ-

ლო და დიდმნიშვნელოვანი ამბავია საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტიურად აღიარება ნეიტრალურ სახელმწიფოების მიერ. სახელდობრ შვეციამ, დანიამ და შვეიცარიამ იცნო ჩვენი დამოუკიდებლობა. გარდა ამისა შეთანხმების სახელმწიფოების ელჩები, რომელთაც ჩვენი მემორანდუმი გადაეცა ნორვეგიის დედაქალაქში, დიდის თანაგრძნობით შეხვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ამბავს.

ამნაირათ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა თანდათან სავსებით უზრუნველყოფილი ხდება სახელმწიფოთა შორის და შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩვენი ჯერ კიდევ ნორჩი რესპუბლიკა საბოლოოთ დასძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას საერთაშორისო სფეროში და საპატიო ადგილს დაიკავებს სახელმწიფოთა და ერთა ინტერნაციონალში.

პატარა ნეიტრალური კულტურული სახელმწიფონი რომ აღიარებდენ ჩვენს დამოუკიდებლობას, ამაში ეჭვები არასოდეს არ დაგვბადებია. ამ თავისუფლების მოყვარე სახელმწიფოებს თავისთავზე აქვსთ გამოცდილი პატარა ერის თვითარსებობისთვის ბრძოლის მძაფრი პირობები ვეებერთელა იმპერიებს შორის და ამიტომ სრულიად ბუნებრივია მათი საერთაშორისო თანაგრძნობა, მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საცნობათ და მისი საერთაშორისო მდგომარეობის გასამტკიცებლად.

საქართველო ყოველთვის მაღლა დაიჭერს მშვიდობიანობის, თავისუფლების და დემოკრატიის დროშას საერთაშორისო კონცერტში. იგი ყოველთვის თავდადებული მექომაგე იქნება შევიწროებულთა უფლების და განთავისუფლების.

ქართველი ერი თავის კულტურით, სახელმწიფოებრივი სიმტკიცით და პოლიტიკური სათნოებით მალე დაამტკიცებს, რომ იგი ღირსეული წევრია დიდი საკაცობრიო ოჯახის და პირნათლათ ამსრულებელია საერთაშორისო უფლების და სამართლიანობის.

ჩვენ არც ის გვეეჭვება, რომ დღეს იქნება თუ ხვალ ის დიდი სახელმწიფონიც აღიარებენ ჩვენს დამოუკიდებლობას, რომელთა ელჩები უკვე თანაგრძნობით შეხვდენ მის ამბავს.

ამერიკა ვილსონს თუ გაჰყვება და ვილსონი თავის სამშვიდობო პროგრამას არ უღალატებს, ცხადია ჩვენი თვითგამორკვეული ხალხის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას მათი მხრით წინააღმდეგობა არ უნდა მოელოდეს.

ინგლისი, საფრანგეთი, იტალია ხომ სრულებით არ არიან დაინტერესებულნი ჩვენს დამოუკიდებლობას შეებრძოლონ, პოლიტიკურათ ისევ პირველყოფილ მდგომარეობაში გადაგვყარონ და სხვათა ბატონობის უღელში შეგვაბან. ასეთი მიზანი არ გამომდინარეობს მათი საერთაშორისო ინტერესების და მდგომარეობის შეგნებიდან.

შესაძლებელია მათ უნდოდესთ რუსეთის ხმა გაიგონონ მსოფლიო კონგრესზე, ცხადია მათ საერთაშორისო პოლიტიკაში შედის რუსეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა, მაგრამ რუსეთის პოლიტიკური აღდგენა დღეს სრულიადაც არ ნიშნავს რუსეთის აღდგენას ძველ საიმპერიო საზღვრებში.

რუსეთის ხალხის პოლიტიკური გაერთიანება და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია სრულიადაც არ მოასწავებს თანამედროვე პირობებში განთავისუფლებულ ერების რუსეთის მიერ ხელახლა დამონებას და კერძოთ ფინეთის, პოლონეთის, საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაკარგვას. ეს შეუძლებელია, ეს რუსის დიდმპყრობელურ ნაციონალისტთა განუხორციელებელი ოცნებაა და წარმოუდგენელია ანტიგერმანულმა კოალიციამ ინგლისის მეთაურობით ამ განუხორციელებელი ოცნებისთვის იბრძოლოს. ყველას თავისი უნდა მიეზღოს.

გარდა ამისა ჩვენი რესპუბლიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს საერთაშორისო დემოკრატიის ხმას ერთა თვითგამორკვევის საკითხში. და სცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, რომ ყველა ქვეყნის დემოკრატია, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად არ მოითხოვს და არ დაიცავს საზოგადოთ ერთა უფლებას და კერძოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელუხლებლობას.

ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა ერმა და დემოკრატიამ დიდი ხანია დაიმსახურა საერთაშორისო დემოკრატიის ყურადღება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული იმედი გვაქვს ჩვენი ძლიერი მოკავშირის—გერმანიის—და მისი დემოკრატიის, რომელმაც წარსულშიაც დიდი სამსახური გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საქმეს და მომავალშიც, იმედია, დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენი რესპუბლიკის გაძლიერებას საერთაშორისო ურთიერთობაში.

გერმანიის ძლიერების გატეხის და განადგურების იმედი არ უნდა ჰქონდესთ მის მტრებს. სადაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს გერმანია, საქართველო მის ამაგს არასოდეს არ დაივიწყებს და ამავე დროს მას ყოველთვის ექნება იმედი, რომ გერმანია და მისი შეკავშირებული დემოკრატია რჩევას და დახმარებას არ მოაკლებს ჩვენს ხალხს და მის რესპუბლიკას საერთაშორისო პოლიტიკაში.

დიახ, საქართველოს მდგომარეობა თანდათან მტკიცდება. სახელმწიფონი თანდათან აღიარებენ და სცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას. თანდათან გვიცხადებენ სოლიდარობას და თანაგრძნობას. მაგრამ...

მაგრამ ჩვენი ადგილობრივი ავისმდომლები კი არ ტყდებიან, არ გვცნობენ და თანაგრძნობის და სოლიდარობის ნაცვლად შხამს და ნაღველს გვანთხევენ თავზე. მათ არ ადარდებსთ ჩვენი რესპუბლიკის ბედ-იღბალი, რას ვამბობ. არა თუ არ ადარდებსთ, ცას დაეწევიან სიხარულით, ოღონდ „რომი ტიბრმა წალეკოს და ძირს დაემხოს ამ ძლიერის სახელმწიფოს ვრცელი კამარა.“

დრო კია მტრები დადუმდენ და ქედი მოიხარონ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე.

## მშვიდობიანი გზით.

ორ მეზობელთა შორის მოქნეული ხმალი ჰაერში შეჩერდა... სომხეთსა და საქართველოს შუა ატეხილი დავა, რომელიც ის-ის-იყო სისხლით უნდა განბანილიყო, დღეს უკვე მშვიდობიანობის გზაზე შესდგა.

დაშნაკციუტუნის ავანტიურულ პოლიტიკის წყალობით ზურგიდან უკან დასხმით, შეიქმნა სამხედრო მძიმე ატმოსფერა, საიდანაც მაინც მტკიცეთ გაისმოდა საქართველოს მთავრობის მშვიდობიანობის დამცველი ხმა.

საქართველოს დემოკრატია ვერ აჰყვებოდა დაშნაკციუტუნის ავანტიურას, რადგან იგი ორივე ერს მხოლოდ განადგურებას უქადდა და სხვის საჯიჯგნათ ხდიდა, ვერ აჰყვებოდა მათს ომით გახურებულ სურვილებს, რადგან კარგად გრძნობდა, რომ ომი ორივეს დალუპავდა და ხრამში გადაჩეხდა. ამიტომ კეთილგონიერება და კეთილზომიერება იხმარა საქართველომ და მთელი თავისი ღონით სამხედრო ასპარეზისაკენ კი არ მიაშურა, არამედ მშვიდობიანი მოლაპარაკებისაკენ. ეს იყო დემოკრატიული მთავრობისათვის ბრძნული და აუცილებელი პოლიტიკა.

მხოლოდ კაცისჭამია შოვინისტები თუ დაიწუნებენ ამ პოლიტიკას!

მაგრამ დემოკრატია ამ გზას ამართლებს და ამ გზისთვის მადლობას უძღვნის საქართველოს მთავრობას, რომელმაც შესძლო მეტი თავდაჭერილობა და გონიერება გამოეჩინა და აქეთკენ სომხეთიც მოეწოდებია.

გასჭრა ამ ზომამ. მიაღწია სასურველ შედეგს საქართველოს მთავრობის ნაბიჯმა.

სომეხთა მთავრობის 26 ოქტომბრის ნოტა ამას ამტკიცებს, იქ კი ნათქვამია: „გავეცით განკარგულება დასცალონ კორინჯი და წათერი... საზღვრების საკითხის მშვიდობიანათ გადასაწყვეტათ წინადადებას ვიძლევით მოწვეულ იქნას სომხეთ-საქართველოს კონფერენცია“. ასეთი არის უკანასკნელი ცნობა, რომელიც დამძიმებულ მდგომარეობას ამსუბუქებს.

საკითხი, რომლის გადაჭრას სისხლით ფიქრობდენ შოვინისტები და ავანტიურისტები, გადაიჭრება სიტყვით.

სადავო საკითხი, რომლის გარშემო მხედრული კორიანტელი ააყენეს,—გადასწყდება მოლაპარაკებით.

ეს იყო და არის ერთად ერთი გამოსავალი, ერთად ერთი გზა, რომელსაც დემოკრატია სიხარულით ღებულობს.

ჩვენ ღრმათ გვწამს: სასაზღვრო საკითხი მშვიდობიანათ მოწესრიგდება და ორივე ერი კვლავ მეზობლურათ ხელიხელ ჩაკიდებული პროგრესის გზაზე მთელი ენერგიით გაქანდება.

## ვილსონის ნოტის გამო

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ვილსონის ნოტა და მასზე გერმანიის ორივე პასუხი უმთავრესი მორიგი გადასაწყვეტი საკითხია დღეს მთელი კაცობრიობისათვის. აზრის გაცვლა-გამოცვლამ, რომელიც თან მოჰყვა ამ ნოტას, ცხად ჰყო ყველასათვის, რომ ნოტა არსებითად მიმართულია ინგლისის წინააღმდეგაც. საქმეში ჩახედულმა პირებმა წინედაც იცოდნენ ნამდვილი მიზეზები ამ მსოფლიო ომისა, იცოდნენ კარგად ის განზრახვანი, რომლის გამო მთელი ქვეყნის იმპერიალისტებმა ქარქაშიდან ხმალი ამოიღეს და მილიონობით მშრომელი, უდანაშაულო ხალხის სისხლი დაანთხიეს, მაგრამ ეხლა, როცა საჭირო შეიქნა პირდაპირი, გულახდილი პასუხი ვილსონის ნოტაზე, ფართო მასსისთვისაც თვალსაჩინო შეიქნა ბევრი რამ, რაც უწინ საიდუმლოებით იყო მოცული. გამოირკვა, მაგალითად, ის, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეხლანდელ მთავრობებს და საზოგადოდ მათ იმპერიალისტურ წრეებს სულ სხვა გულისწუხილი აქვთ და დაჩაგრულ ერთა ბედზე ზრუნვა ერთგვარი ფარია თავის სულისკვეთების დასამალავად. ვილსონის ნოტაში არის მუხლები, რომელიც ცხადად ეწინააღმდეგება ინგლისის ინტერესებს და რომელსაც ინგლისის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ექნება უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობა. დღემდე ინგლისის დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას უპყრია საუკეთესო ადგილები, ზღვები და სრუტეები, რომელთა თავისუფლად აღიარება და გახსნა ხელს შეუწყობს უაღრესად მთელი ევროპის და ამერიკის ვაჭრობის განვითარებას, მაშინ როდესაც კერძოდ ინგლისის ვაჭრობა შესამჩნევად იზარალებს. კერძოდ გერმანია-ინგლისის შესახებ ეს ცვლილება დიდმნიშვნელოვანი იქნება: დღემდე გერმანიამ, რომელიც მოკლებულია საშუალებას ამ ზღვებით და სრუტეებით თავისუფლად ისარგებლოს, მაინც მოახერხა თავის ვაჭრობა-მრეწველობა უაღრესად გაევითარებია და გამხდარიყო არამც თუ მეტად საშიში მეტოქე ინგლისისა, არამედ კიდევაც გაასწრო მისთვის მრეწველობის ზოგიერთ დარგში. ადვილი წარმოსადგენია ის თუ როგორი ძალთა განწყობილება დამყარდება ამ მხრით მათ შორის, მაშინ, როდესაც ყველა ზემოდ მოხსენებული ზღვები და სრუტეები სულ თავისუფალი იქნება. ეს გარემოება კარგად აქვს წარმოდგენილი ინგლისის ბურჟუაზიას და სწორედ ამიტომ მისი ინტერესები თხოულობს, რომ წინასწარ ზავის ჩამოგდება და საზოგადოდ ზავის შეკვრა ვილსონის ნოტის მოთხოვნილებათა თანახმად არ მოხდეს.

ინგლისში და საფრანგეთში, განსაკუთრებით კი პირველში, ფიქრობენ, რომ რაკი გერმანიის ახალი მთავრობა დათმობის გზას დაადგა, ეს უსათუოდ ნიშანია მისი სრული დასუსტებისა, რის გამო ისინი თავის მხრით გერმანიას არამც თუ არაფერს არ უთმობენ, არამედ გერმანიას უყენებენ სულ ახალ-ახალ მოთხოვნილებებს, რომლის დაკმაყოფილებაზე გერმანია, რასაკვირველია, არასდროს არ დასთანხმდება, თუ რომ თავის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თვითარსების მოსპობა არ სურს.

ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის თანახმად, რაც აღნიშნულია ვილსონის ნოტაში, გერმანიის მოწინააღმდეგე კოალიცია მაგალითად, მოითხოვს, რომ გერმანიამ დაუყოვნებლივ დასტოვოს ყველა ის ადგილები და ქვეყნები, რომელნიც მან ამ ომის დროს დაიპყრო.

თუ ეს მოთხოვნილება სამართლიანია ერთი მხარისათვის, რატომ არ უნდა იხელმძღვანელოს პრეზიდენტმა ვილსონმა ამავე სამართლიანი პრინციპით მეორე მხარის მიმართაც და არ მოსთხოვოს ამ უკანასკნელს, რათა მან აგრეთვე დაუყოვნებლივ დასტოვოს დაპყრობილი ადგილები, მაგალ. სპარსეთი, სირია, მესოპოტამია, ეგვიპტე და სხვ.

ინგლისის ბურჟუაზიული წრეები „Daily Telegraph“-ში არშიბალდ უვარდის პირით შემდეგ შეუწყნარებელ მოთხოვნილებას უყენებს გერმანიას: „გერმანიის შორეული ზღვის ფლოტს 1915 წელს შეეძლო რუსეთის და საფრანგეთის ფლოტი სასტიკად დაემარცხებია, მაგრამ მას ხელი შეუშალა ამ მიზნის სისრულეში მოყვანას ინგლისის ფლოტმა. ამიტომ საბოლოო ზავის შეკვრის შემდეგ ინგლისმა უნდა მიიღოს გერმანიის ეგრედ წოდებული შორეული ზღვის დიდი ფლოტი. ინგლისსავე უნდა გადაეცეს ყველა გერმანიის წყლის ქვეშ მავალი ნავები“.

ცხადია ეს უზომოდ გადიდებული მადა გაჩნდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ფრონტზე გერმანიის ჯარმა უკან დახევა დაიწყო. ძნელი სათქმელია სად, რომელ ადგილებზე სახელდობრ, შეჩერდება გერმანიის ჯარი ან როგორ მიმდინარეობას მიიღებს საზოგადოდ ბრძოლის მსვლელობა ამ უმთავრეს ფრონტზე, განსაკუთრებით გერმანიის უდიდეს სიმაგრეების მიახლოვების შემდეგ ჩვენთვის უცნობია აგრეთვე დიდი საიდუმლოებით არის მოცული განზრახვანი გინდენბურგისა, რომელსაც, როგორც სჩანს, გერმანიის ახალი მთავრობა და გერმანიის ხალხი დღესაც დიდი ნდობით შეჰყურებს.

მხოლოდ ასეთი მოთხოვნილება მარტო დამარცხებულ სახელმწიფოს შეუძლიან წაუყენოს გამარჯვებულმა მტერმა. თვით გერმანიის საბოლოოდ დამარცხებაზე ლაპარაკი მეტად ნაადრევია, თუ კი ეს საზოგადოთ შესაძლებელია. ამიტომ, თუ რომ ვილსონის ნოტა გერმანიის მტრებმა არ მიიღეს, ომი კიდევ გაგრძელდება, ბრძოლა მიიღებს უმწვავეს, უსასტიკეს ფორმას და კაცობრიობის და ისტორიის წინაშე ანტიგერმანულ კოალიციას დაედება უმძიმესი ბრალი.

ამავე დროს უნდა იქნას ისიც აღნიშნული, რომ გერმანიის მტრების ბანაკში დემოკრატია, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოეხმაურა ვილსონის ნოტას და გერმანიის პასუხს. უეჭველია ის, რომ გერმანიამ, როგორც დღემდე ამ ოთხი წლის განმავლობაში იმარჯვებდა ბრძოლის ველზე, ისე ახლაც თავის ახალი მთავრობის პირით გაიმარჯვა სადიპლომატიო სფეროშიაც. გერმანიის დიპლომატიის დიდი დამთმობი პოზიცია, სულ ერთია, როგორც უნდა ესმოდეს მოწინააღმდეგის იმპერიალისტებს ამ დათმობის მიზეზები, თვალს უხელს ამ იმპერიალისტთა ქვეყნების ნამდვილ დემოკრატიას, რომელიც თანდათან მხარს უჭერს გერმანიის წინადადებას.

თუ მსოფლიო დემოკრატიამ ვერ შესძლო ეხლა მაინც ომის შეჩერება და გერმანიის მტრებს ომის გაგრძელების საშუალება მისცა, მაშინ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ჩვენ ვიქნებით მოწამენი უდიდესი ბრძოლისა, რომელსაც ჯერ ამ ომის დროს არ ჰქონია ადგილი. სწორედ მაშინ გამოჩნდება ნამდვილად, რა შეუძლიან გერმანიას კიდევ თავის დაცვისათვის და რამდენად მართალი არიან გერმანიის მტრები, როცა მას უკვე დამარცხებულად სთვლიან.

## ქართული პრესა

საქართველოდან გერმანიის ჯარის წასვლის შესახებ პრესა ალაპარაკდა. ერთი ნაწილი მწუხარებით აღნიშნავს და მეორეს სიხარულისაგან ცრემლები სცვივა. რა ახარებთ? ვინ იხარის?

უხარიათ მათ, ვინც ფიქრობს და ვისაც ჰგონია, რომ გერმანიის ჯარის წასვლასთან ერთად დაემხობა ჩვენი რესპუბლიკა; უხარიათ მათ, ვინც დარწმუნებულია, რომ სხვა ძალა მოვა და ჩვენ ის გაგვანადგურებს; უხარიათ ყველა მათ, ვინც გერმანიის ამიერ-კავკასიიდან გასვლით, ჰგონიათ, რომ ხელ-ახლა ორიენტაციის საკითხი დაისმება და საქართველო რუსეთისაკენ გაიწევა. ამ მოვლენას ყურადღებას აქცევს გაზეთი „ერთობა“ და სწერს:

„ჩვენი ხალხის შეგნებულმა ნაწილმა კარგათ შეითვისა ორიენტაციის საკითხი: უკვე საკმაოთ განმტკიცდა ხალხში ის აზრი, რომ ჩვენ „საკუთარ თავის“ ორიენტაცია უნდა გვქონდეს.

ამა წლის 26 მაისს, სწორეთ იმ დღეს, როცა ჩვენი უკულტურო მეზობლების წყალობით ამიერ-კავკასიის მთლიანობა იურიდიულათაც დაირღვა და სეიმი დაიშალა, ჩვენ გამოვაცხადეთ საქართველოს დამოუკიდებლობა და ნეიტრალობა საქვეყნოთ ვაღიარეთ. ამით ჩვენ საკმაოთ ნათლათ და მკაფიოთ ვაუწყეთ ქვეყანას, რომ არც ერთს კოალიციაში ჩვენ არ შევდივართ და არც ერთს სახელმწიფოს არ ვებრძვით და თუმცა გერმანიის ჯარები მოვიწვიეთ, მაგრამ არა ვისმესთვის ომის გამოსაცხადებლათ, არამედ ჩვენი სახელმწიფოს საზღვრების დასაცავად.

გერმანიამ ჩვენი მოწვევა მიიღო, რადგან მას მრავალგვარი ეკონომიური ინტერესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა და საერთაშორისო უფლება და ჩვეულება სრულიად არ უკრძალავს რომელიმე სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოსთან სავაჭრო თუ სხვაგვარი ხელშეკრულობა დასდოს.

ეს მდგომარეობა ჩვენთვის დღესაც გრძელდება.

საჭიროა ერთხელ და საბოლოოდ შეიგნონ ჩვენმა მტერ-მოყვრებმა, რომ ჩვენ მხოლოდ უხეში ფიზიკური ძალა აგვაღებინებს ხელს პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, მაგრამ საკუთარი სურვილით ამას ჩვენ არასოდეს არ ჩავიდენთ. ეს მით უფრო შეუძლებელია ჩვენის მხრით, რომ ჩვენი ისტორიული მტერი ოსმალეთი იძულებულია საზღვრების გაფართოვების სურვილს გამოეთხოვოს და კიდეც რომ ძლევამოსილი გამოვიდეს ინგლისი ამ ომიდან, ობიექტიური პირობები სულაც არ მოითხოვენ მისგან, მდიდარი და სტრატეგიულათ მნიშვნელოვანი საქართველო ოსმალეთს ან რუსეთს უთავაზოს.“

* * *

ინტერნაციონალი წელში სწორდება. იგი სდგება. ერთა თანასწორობის და ერთა თვითგამორკვევის ნამდვილი და ჭეშმარიტი დამცველი ინტერნაციონალი უკვე თავის ძალებს იკრებს და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც მტკიცეთ გაისმის მისი მძლავრი ხმა, რომელსაც საქართველოს ხმაც შეუერთდება:

„დღეს საქართველოსთვისაც შეიქმნა ახალი პირობები. საქართველოსაც ეძლევა საშუალება საერთაშორისო დემოკრატიის ოჯახში შევიდეს, როგორც თანასწორი წევრი ინტერნაციონალისა. ასის წლის პოლიტიკური მონობის შემდეგ განთავისუფლებული საქართველო, თავისი უაღრესად დემოკრატიული წეს-წყობილებით, წარსდგება ინტერნაციონალის წინაშე. და ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი ამ ინტერნაციონალში იგი ჰპოვებს ერთგულსა და უანგარო დამცველს.

საქართველო თავისუფალია. თავისუფალ საქართველოს უთუოდ ეყოლება ენერგიული დამცველი. საჭიროა მხოლოდ მივიყვანოთ ჩვენი გემი იმ ნავთსაყუდელთან, სადაც განთავისუფლებულ ერთა ბედი საბოლოოდ გამოიჭედება“. („სახალხო საქმე“).

* * *

ბორჩალოს მაზრის ამბებს კვლავ უბრუნდება „საქართველო“. ეს იმდენათ სასიცოცხლო საკითხია, რომ არ შეიძლება ყურადღება არ შეჩერდეს მასზე:

„ჩვენ არ გვინდა იარაღის ჟღარუნი. საქართველოს მთავრობამაც და პარლამენტმაც საოცარი თავდაჭერილობა და სულგრძელობა გამოიჩინა, ჩვენ მშვიდობიანობა ჭგვწყურია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ დათმობა და მით უმეტეს სილაჩრე არასოდეს არ ყოფილა მშვიდობიანობის საწინდარი, როგორც ბ. შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტის უკანასკნელ ისტორიულ სხდომაზე განაცხადა, მთელი ტფილისის გუბერნია საქართველოს უდავო ტერიტორიას წარმოადგენს. შეიძლება ამ გუბერნიის საზღვარზე რამდენიმე სომხური სოფლის საზოგადოება მოიპოვებოდეს; მაგრამ მართლაც, ბ. ნოე რამიშვილისა არ იყოს, განა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი ყოველი სოფლის, ყოველი უბნის თვითგამორკვევას ჰგულისხმობს? ლორის პროვინციას ორგანიული ისტორიული, ეკონომიური და სტრატეგიული კავშირი აქვს დანარჩენ საქართველოსთან. თუ დღეს ლორი დავსთმეთ, ხვალ მთელს ბორჩალოს მოგვთხოვენ და თუ ხვალ ბორჩალო დავსთმეთ, ზეგ ახალციხესა და ახალქალაქსაც დაიჭერენ“.

მართლაც: თუ მათ ახირებულ თვითგამორკვევის უფლებას ავყევით, მაშინ ხომ სოლოლაკიც, ჩხარიც, საჩხერეს ნახევარიც სომხეთს უნდა გადავსცეთ!? აბა, ეს სადაური თვითგამორკვევაა!

## თურქული პრესა.

სტამბოლის გაზეთი „იკდამ“-ი კავკასიის, შავი ზღვის და დუნაიის შესახებ სწერს შემდეგს:

გაზეთებში კვლავ აღიძრა საკითხი სტამბულის გეგმის შესახებ. ღვთის წყალობით, ეს საკითხი, როგორც ჩვენს მომავალ პოლიტიკას და ეკონომიურ ინტერესებს შეეფერება, ისე გადაწყდება.

ამასთან ერთად წმინდა მოვალეობად მიგვაჩნია მოვახსენოთ საქმის გამძღოლებს, რომ მათ მიერ ნაკისრი საქმე მეტად დიდია. ჩვენ მტრებს, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად ოსმალეთის დაზიანებისათვის საჭირო ზომები არ დაუზოგავთ. მაგალითად, ინგლისელების მიერ ორ მდინარეთა შორის ხელში ჩაგდებული პუნქტები ჩვენი, ეკონომიურად მეტად დამაზიანებელი ხასიათის არის. ამასთან ერთად მთელი სპარსეთის მათ გავლენაში ყოფნაც იგივე მომასწავებელია:

ამავე დროს ჩვენ, კავკასიაში ეკონომიის კარი გვეხსნება, რითაც სტამბული დიდად ისარგებლებს. მაგრამ შავი ზღვის შუა გულში ერთი (დუნაი)-ს გზის აღდგენა, გახსნა, სტამბულისათვის სასარგებლოთ ვერ ჩაითვლება, ხოლო ანატოლიის ზოგიერთ ნაწილებს, რომლებსაც შავ-ზღვასთან აქვს დამოკიდებულება, შეიძლება სარგებლობა მოუტანოს.

სპარსეთიდან კავკასიაზე მიკრული ნაწილების საქონლის გაცვლა-გიმოცვლის წარმოებითაც სტამბულს, სარგებლობა ექნება.

ამ მომავლის მნიშვნელობას მხედველობაში ვღებულობთ და ვამბობთ, რომ ოსმალეთის მთავრობამ კავკასიასთან დამოკიდებულება ეხლავე გონიერად და წინ დახედულად საღს საფუძველზე უნდა დაამყაროს.

ჩვენ წინ გახსნილ სარგებლობისა და თან სახიფათო კარების დაცვა, ჩვენს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, უწყებათა და წრეებზეა დამოკიდებული.

კავკასიის ტერიტორია, იქ ახალად შექმნილი მთავრობანი, მათში სულიერი ჩვენი გავლენა, მოპოებული სიმპატია, ჩვენი ეკონომიური მოსაზრება—ზედა პოლიტიკური თვალსაზრისი, აი ჩვენი მომავლის დედაბოძი.

ზოგი ძველი ამბების გახსენება უადგილო არ უნდა იყოს გვგონია. ბალკანეთის ომის შემდეგ დანშინული პრინცი (ლოვილი)-ს საალბანო ჩვენთვის სასარგებლო იყო. განსაკუთრებით კი პრინცი ლოვილის პიპიროვნება ოსმალეთის მთავრობისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას წარმოადგენდა. პრინცი თავის მხრით ოსმალეთს წრფელის გულით მოეპყრო. მაგრამ ჩვენ, რაკი ალბანელებს, გულცივათ ვეპყრობოდით ალბანეთმა აღარ დაგვაინტერესა. ბოლოს და ბოლოს, ალბანეთიც სავსებით დავკარგეთ.

ალბანეთის დღევანდელი მდგომარეობა, იტალიის მფარველობაში დარჩენით ოსმალეთის ინტერესებს ბღალავს, ნიადაგს უკარგავს. ბალკანეთში მარტოკა დავრჩით. კავკასიაში კი მეტად წმინდა სიყვარულის, სიმპატიის დამსახურება უსაჭიროესია ჩვენთვის. ოსმალეთის მთავრობამ კავკასიის ყველა ერები გონივრულის პოლიტიკით უნდა შეაკავშიროს. სტამბოლის ზოგმა გაზეთმა გერმანელებს კავკასიის საკითხის გამო უსაყვედურეს. მართალია გერმანიას, კავკასიაში არავითარი ინტერესები არა აქვს. ოსმალეთი კავკასიაში, გინდ ეკონომიურად იყოს და გინდ პოლიტიკურად რომელიმე გავლენის მფლობელობას ვერ მოითმენს, თანხმობით ვერ შეხვდება. კავკასიამ დამოუკიდებლად უნდა იცხოვროს და ჩვენთან ერთად, ერთსულოვნათ უნდა იყოს. ჩვენ და კავკასიას, სპარსეთის იქითა ნაწილში საქმე არა გვაქვს. სპარსეთი ჭეშმარიტად დამოუკიდებლობის ღირსი არის. სპარსეთში ჩვენ კომედიის თამაში არა გვსურს და არც სხვა სახელმწიფოს მიერ იქ კომედიის თამაშს თანაგრძნობით შევხვდებით.

## სომხური პრესა

„ჟოღოვრდი ძაინ“ სომეხ-ქართველთა კონფლიქტზე შემდეგს სწერს:

„სომეხთა ეროვნულ საბჭოს დელეგაციამ, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრა სანიინის ახლო-მახლო ალაგებში სომეხ და ქართველ ჯარებს შორის მომხდარ შეტაკების გამო, ოქტომბრის 27 დეპეშით ატყობინებს საქართველოს მთავრობას და სომეხთა ეროვნულ საბჭოს, რომ შეტაკების მიზნები გაუგებრობაა და უცხადებს ორივე სახელმწიფოების მთავრობას, რომ მისი გულწრფელი სურვილია გადამიჯვნის საკითხი გათავდეს მშვიდობიანის და სამართლიანის გზით.

ესე ნაადრევ და უადგილო სომეხ-ქართველთა სამწუხარო ინცინდენტი შეიძლება დამთავრებულათ ჩაითვალოს. ეხლანდელ პოლიტიკურ დროს, როცა ყველგან ლაპარაკობენ საერთო ზავზე და მშვიდობიანობაზე, არ შეიძლება წარმოგვედგინა იმაზე უფრო საშინელი და მძიმე ფაქტი, ვიდრე ახალი ფრონტის შექმნა, რომელსაც დაერქმეოდა „სომეხ-ქართული“ ფრონტი“.

ჩვენ გვიხარიან, რომ დელეგაციამ გაიმარჯვა და გაანელა ანთებული გრძნობები და იპოვნა ორივე მხრისთვის საერთო და მისაღები გამოსავალი.

ეხლა, როცა ამ ინცინდენტის გარშემო რჩება კიდევ გადაუჭრელი და სადაო საკითხები, ჩვენ მომხრე ვართ, რომ ყოველივე საშუალება იქმნას მიღებული ამ საკითხების გასაშუქებლათ, მაგრამ უსისხლოთ და უიარაღოთ.

ჩვენთვის ცხადია, რომ ის მთავრობა, რომელიც ჩასთვლის შეუძლებლად ორი მეზობელ ერის შორის მომხდარ ინცინდენტის გასწორებას ხმლით და სისხლით, ასეთი მთავრობა ვერ შესძლებს მართვა-გამგეობის შენარჩუნებას, რადგანაც ის წავა იმ ძმური გრძნობის წინააღმდეგ, რომელიც დღეს სუფევს ორ „გადამტერებულ“ მეზობელ ერთა შორის“.

* * *

დაშნაკელების ორგანოები „ორიზონი“ და „აშხატოვორი“ სანაინთან მომხდარ ინციდენტში ჰხედავენ ქართველ მენშევიკების შოვინისტურ და იმპერიალისტურ პოლიტიკას და სხვათაშორის, სწერენ შემდეგს:

„ორიზონი“ ამბობს, რომ ლორი, დასახლებულია თითქმის მარტო სომხებით, ოსმალების შემოსევის დროს, გერმანულ ჯარებს ეჭირა, ქართველი დარაჯები იდგენ იმ პირობით, რომ როცა წავიდოდა ოსმალეთის ჯარი უნდა გადაცემოდა ეს ალაგები თავის ნამდვილ პატრონს-სომხეთის მთავრობას.

ამ ბოლო დროს, როცა ოსმალები მიდიოდენ, მათ როგორც სჩანს, ერთნაირ შინაარსის წერილები გაეგზავნათ როგორც საქართველოს, ისე სომხეთის მთავრობისთვის და აცნობებდენ, რომ ანთავისუფლებენ დაკავებულ ადგილებს.

საქართველოს წარმომადგენელს გვარჯალაძეს სომხეთის წარმომადგენელ ა. ჯამალიანისთვის ეთქვა, რომ ქიარიმ ფაშიდან საქართველოს მთავრობას მიუღია წერილი, რომ მან დაიჭიროს ოსმალოებიდგან განთავისუფლებული ალაგები. იმავე ქიარიმს იმავე დროს უცნობებია სომხეთის მისიისთვის, რომ განკარგულებაა მომხდარი რათა ერევანში მჯდომმა ალი-ფაშამ აცნობოს სომხეთის მთავრობას, რათა ის წავიდეს და უპატრონოს ოსმალებისგან დატოვებულ ალაგებს, რომელებიც ეკუთნიან სომხეთს.

აი ამისთანა აშკარა ისტორიიდან ქართველ „სოციალ დემოკრატიას, შეუქნია კიდევ ერთი ახალი და საზიზღარი პროვოკაცია.

გაზეთი „ბორბა“—განაგრძობს „ორიზონი“, „დაშნაკცუთუნ“ პარტიას ბრალსა სდებს ეგრედ წოდებულ „დასავლეთის“ პოლიტიკაში, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ფარულათ შეთანხმება მოახდინოს უცხო სახელმწიფოებთან თავის მეზობელ ერებთან საბრძოლველათ.

აი ასე იწერება ქვეყნის ისტორია, ასე შეეჩვია ისტორიების დაწერას ქართველი სოციალ-დემოკრატია.

განგებ ივიწყებს იმ გარემოებას, რომ ქიარიმ ფაშას უკვე მიუმართავს საქართველოს მთავრობისთვის წინადადებით—დაიკავოს ოსმალებიდან დაცლილი ლორი, ქართველ „სოციალ-დემოკრატიას“ აჰმედ ალი ფაშის სახელის მარტო ხსენება საკმაოთ უცნია, რომ თავის ჩვეულებრივათ გამოუცხადებია, ვითომ სომხეთის დაშნაკელების მთავრობას ოსმალეთის დახმარებით გადაუწყვეტია საქართველოს მთავრობისთვინ ომის გამოცხადება. და ამას აცხადებენ ისინი, რომლებმაც კარგათ იციან, რომ სომხის ხალხი და მისი მთავრობა ვერ შესძლებს აშკარათ რაიმე თანხმობა მოახერხოს ოსმალეთთან, რომლის ტერიტორიაზე დაიხოცა თითქმის მთელი სომხის ერი.

ეს იციან სადგურ შაჰალის დამპყრობელ და ტფილისის გუბერნიის საზღვრების აღმადგენელებმა, ჩვენის ქვეყნის მშვენიერმა „სოციალისტებმა“ და „დემოკრატებმა“, მაგრამ განგებ აწარმოებენ იმ პოლიტიკას, რომელიც იწყება პროვოკაციებიდან და თავდება პროვოკაციებითვე და სამართლიანათ ეძახიან ასეთ პოლიტიკას „მენშევიკურს“.

აი ამას ჰქვიან „გაღმა გაედავე, იქნება გამოღმა შეგრჩეს რამეო“.

## რუსული პრესა

შვეციამ, დანიამ, შვეიცარიამ ფაქტიურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. მემორანდუმი გადაეცა აგრეთვე შეთანხმების სახელმწიფოთა ელჩებსაც. გაზეთი „ბარბა“ იმედიანათ შეჰყურებს ჩვენს მომავალს და ფიქრობს, რომ ბოლოს მაინც შეთანხმების სახელმწიფონიც აღიარებენ ჩვენს დამოუკიდებლობას. გაზეთი ამბობს:

„ის რეალური ინტერესები, რომელიც გერმანიას უკარნახებდა მხარი დაეჭირა ამიერ-კავკასიის ხალხთა დამოუკიდებლობისათვის, უკარნახებს ინგლისსაც და მის მოკავშირე ქვეყნებსაც კეთილი განწყობილება დაამყარონ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან და კერძოთ საქართველოს რესპუბლიკასთან“.

* * *

კადეტების გაზეთი „რეჩი“ ფიქრობს, რომ გერმანიის აქედან წასვლა გამოიწვია ოსმალეთის სეპერატიულმა მოლაპარაკებამ, რომელსაც იგი ინგლისთან აწარმოებს. ამ მოვლენაში გაზეთი ხედავს ახლო აღმოსავლეთში გერმანიის პოლიტიკის დამარცხებას და ამბობს:

„აღმოსავლეთის და ამიერ-კავკასიის სამხედრო თეატრი გერმანიისათვის პულეთ გადაიქცა. ის მისთვის სხეულის მოჭრილი ნაწილია, რომელსაც ვერ გააცოცხლებს. ყოველშემთხვევაში გერმანელები წავლენ თუ არ წავლენ, ერთი ცხადია: პოლიტიკურათ ისინი უკვე წავიდნენ, მათ უკვე შეასრულეს თავისი როლი, მათ გააკეთეს ის, რაც შეეძლოთ და შემდეგი კი არის მხოლოდ საინტერესო დასრულება მისი, რაც უკვე გუშინ მოხდა“.

* * *

გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“ ეხება სომხეთ-საქართველოს კონფლიქტს და დაასკვნის:

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველო და სომხეთი ერთმანეთთან შეთანხმდებიან და ამოღებულ ხმალს ქარქაშში ჩააგებენ. ამ მიმართულებით ორივე რესპუბლიკის მთავრობამ ნაბიჯი გადასდგა. საქართველოს პარლამენტმა გამოსთქვა სრული იმედი, რომ მთავრობა მიიღებს ყოველ ზომას, რომ საქართველოს და სომხეთს აცილოს სისხლის ღვრის საშინელი საფრთხე“. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ, სისხლის ღვრის ასაშორებლათ აუცილებელი განკარგულება მოახდინა და წინადადებას იძლევა „საზღვრებზე ატეხილ დავის მშვიდობიან გადასაჭრელათ მოიწვიონ სომეხ-ქართველთა კონფერენცია“. ამ პირობებში ჩვენ გვგონია, რომ ძველის-ძველ მეზობელთა შორის მშვიდობიანათ დავის გადაწყვეტა უზრუნველყოფილი იქნება“.

* * *

„ზნამია ნაროდა“ ეხება საქართველოს პარლამენტის უკანასკნელ კრებას, იწონებს მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს ჩვენს და სომხებს შორის კონფლიქტის მშვიდობიანობით გასათავებლათ, მაგრამ მაინც ამბობს:

„რასაკვირველია, ჩვენ შორს ვდგევართ იმისაგან, რომ ხოტბა შევასხათ საქართველოს მთავრობას და არ უარვყოთ იმ პოზიციის უარყოფითი მხარეები, რომელიც მას უჭირავს, მაგრამ საერთო ხაზი მაინც სწორია და კატეგორიული განცხადება მთავრობის წარმომადგენელისა იმის შესახებ, რომ მთავრობა არასოდეს არ იქნება თანახმა იარაღის საშუალებით საკითხის გადაჭრისა, ჩვენ გვიბადებს რწმენას, რომ ის აასრულებს თავის დაპირებას და შესძლებს მშვიდობიანათ გამოვიდეს შექმნილ მდგომარეობიდან. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ამ მხრივ მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები იქნება მოწონებული ყველა პოლიტიკურ პარტიებისა და დემოკრატიის უმეტესობისაგან, მიმართულებისა და ეროვნების მიუხედავათ“.

რასაკვირველია, გულჭრელ „ზნამიელებს“ არ შეუძლიანთ, რომ კბილი მაინც არ გაჰკრან მთავრობას და არ მოიხსენიონ „უარყოფითი მხარეები“, რომელიც მხოლოდ მათს აზროვნებაში არსებობს.

## ცნობა გერმანიის შტაბიდან

პროფესორ ცუგმაიერმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელს გადმოსცა გერმანიის ადგილობრივ შტაბის მიერ მიღებული შემდეგი ცნობა გერმანიის სახელმწიფო მეცხრე სესხის შესახებ.

მას შემდეგ, რაც ოფიციალურათ გამოცხადდა და დაიწყო ხელის მოწერა მეცხრე სამხედრო სესხზე, რამოდენიმე ხნის განმავლობაში, როგორც ეს იყო ჩვეულებრივად, უკვე აღმოჩდა მთელი რიგი პირთა და საზოგადოებათა, რომელთაც განაცხადეს სურვილი დიდი თანხის შემოტანისა. მაგალიდათ, გერმანიის საიმპერიო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მოაწერა ხელი 830 მილიონ მარკაზე, [illegible] კიდევ 50 მილიონზე, ბავარიის ცენტრალურ გამსესხებელმა კასსამ 30 მილიონზე, კალნის შემნახველ-გამსესხებელმა კასამ 14 მილიონზე, სასოფლო-დაზღვევის დაწესებულება ჰესენ-ნაზაუდა ფრიდრიხ-ვილჰელმა ა. გ. 10 მილიონზე. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს სესხიც ისე კარგად ჩაივლის, როგორც წინეთ. ის თუ როგორ მწყობრად მიმდინარეობს სესხზე ხელის მოწერა, სჩანს სხვათა შორის იქიდანაც, რომ გამსესხებელი კასები კმაყოფილდებიან სულ მცირედით. ამ კასებმა პირველი რვა სამხედრო სესხისათვის შესძლეს მიეცათ მხოლოდ საერთო თანხით 775 მილიონი მარკა, რაც მთელი სამხედრო სესხის 88 მილიარდის 0,9% შეადგენს. ერთი წლის წინეთ ამ პროპორციამ მიაღწია 1,5%—ამდე. ეს დიდი გაუმჯებესობა დამამტკიცებელია მისი რომ გერმანია განსაკუთრებულ კარგ მდგომარეობაშია ფინანსიურიმხრით, რომ გერმანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინანსიურად ძლიერია. თუმცა ჯერ კიდევ არ არის სრულიათ წრევანდელი მოსავალი აკრეფილი, მხოლოდ ეხლაც შეიძლება რაოდენადმე მის შედეგზე ლაპარაკი როგორც ამას წინეთ სამხედრო სასურსათო უწყების გამგეობის წევრი შტეგერვალდი გაზეთ „კელნიშე ფოლკსცაიტუნგში“. სწერდა, წრევანდელი პურის მოსავალი 15-დან 17% მეტია შარშანდელზე, ამის და მიხედვით საგრძნობელათ შეიძლება იქნეს გადიდებული პირველ ოქტომბრიდან ფქვილის რაციონი და მიეცეს სულზე ერთი კვირის განმავლობაში 4 გირ. თუმც კარტოფილის მოსავლის შესახებ ჯერ კიდევ არა აქვს ისეთი დაახლოვებით სწორი ცნობები, როგორც პურის მოსავალზე, მაგრამ აქაც ეხლავე შეიძლება ითქვას, რომ კომუნალურ საზოგადოებებს მიეცემა მეტი ყოველკვირეული რაციონი, ვიდრე ეს დღემდე იყო. ხორცის მოთხოვნილების შემცირება უნდა დარჩეს ძველებური, საბედნიეროდ ქონის რაოდენობაც ძველებური იქნება და ამ მხრით რაციონის შემცირება არ მოგვიხდება. სხვა და სხვა ბოსტნეულობა გვექნება ზომაზე მეტი, რომლის დიდ ნაწილს საზამთროდ მოვამზადებთ. ამ ნაანგარიშევ ციფირებში უკრაინიდან შემოტანილი სანოვაგე არ მიგვიღია მხედველობაში.

რაც შეეხება აღმოსავლეთიდან მიმოსვლის აღდგენას, უნდა ვსთქვათ, რომ ამჟამად ამ საკითხის შესახებ მოსკოვში რუსების და გერმანელების თათბირი სწარმოებს. ხელშეკრულობის დამატებითი მუხლის ძალით, მარტო ერთ მხრივად საზოგადოდ საქონლის მიწოდებაზე კი არ არის სახეში მიღებული, არამედ საქონლის თუ სანოვაგის გაცვლა-გამოცვლა არის ნავარაუდევი, მაგალითად, გერმანია მზად არის რუსეთს გადასცეს ქვა-ნახშირი სხვა და სხვა დაუმუშავებელ ზეთეულობაზე გასაცვლელად. რუსეთის მთავრობამ დაარსა სხვა და სხვა მასალების რაოდენობის გამოსაკვლევად სტატისტიკური ბიურო, რომლის ნამუშევრიდან სჩანს, რომ რუსეთს აქვს კიდევ უთვალავი რიცხვი მეტად საჭირო საქონლისა, რომლის გატანა საზღვარ გარედ შეიძლება. ეს გარემოება აბათილებს იმ აზრს, ვითომც რუსეთი ჯერ ომის და შემდეგ რევოლიუციის წყალობით საზოგადოდ სრულიად გაკოტრებულია. იმისათვის ვინც კი რუსეთს კარგად იცნობს, ზემოხსენებული სასტატისტიკო ბიუროსაგან გამოქვეყნებული ცნობები სრულ სიმართლეს შეიცავს. აგრეთვე თანდათან იწყებს მუშაობას ეგრეთ წოდებული გერმანელ-ფინური საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე“.

შემდეგ აღნიშნავს რა ზემო-მოყვანილი მოხსენება გერმანიის ძლიერებას და ნიჭს ვაჭრობა-მრეწველობის სფეროში, დასძენს, რომ გერმანიის ეს დიდი ნიჭი სჩანს აგრეთვე იმაშიაც, რომ უკვე დაარსდა მუდმივი წარმომადგენლობა სამეურნეო საქმეებისა „ველიკორუსეთის“ მხრით ქალ. ბრესლავში.

## პარლამენტის ქრონიკა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს განცხადება.

1. რუსები, რომლებიც აფხაზეთში ჩამოვიდნენ 1914 წ. ივლისის 19-მდე, და რომლებიც ცხოვრობდენ იქ, როგორც რუსეთის მოქალაქენი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მათ არ ჩამოერთმევოდათ უფლება თავისი სახელმწიფოს ქვეშევრდომებათ დარჩენილიყვნენ, რომელიც ეხლა დროებით ანარქიას განიცდის. რადგანაც საქართველოს მოქალაქეობის კანონი ჯერ შემუშავებული არ არის, რუს მოქალაქეთა საქართველოს ქვეშევრდომათ ჩარიცხვა და მათი გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელად ქართულ ჯარში, სოხუმის ნაციონალურ საბჭოს აზრით უკანონოა.

2. საქართველოს მთავრობის განკარგულება საქართველოს ქვეშევრდომათ ჩარიცხვისა და სამხედრო ბეგრის მოხდის შესახებ იმ პირთა, „რომლებიც მიწერილი არიან რომელიმე ადმინისტრატიულ ერთეულზე 1914 წ. ივლისის 19-მდე საქართველოს საზღვრებში შესულ ტერიტორიაზე“, თავისი ბუნდოვანობის გამო, აიძულებს რუსულ ნაციონალურ საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობაზე კანონის შემუშავების მოლოდინში, არ ჩათვალოს აღნიშნული განკარგულება ქვეშევრდომობისა და სამხედრო ბეგრის მოხდის საკითხის საბოლაო გადამწყვეტათ.

3. სოხუმის რუსულ ნაციონალურ საბჭოს ვალდებულათ მიაჩნია, აღნიშნოს ის გარემოებაც, რომ ქვეშევრდომობის კანონი, რომელიც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ამა წლის 16 მიიღო, არ იყო გამოქვეყნებული აფხაზეთში. ვფიქრობთ, რომ აფხაზეთი არ არის ავტონომიური ერთეული არამედ საქართველოს პროვინციაა, მაინც კანონთა გამოქვეყნების წესი გუბერნიაში ან პროვინციაში, რომელსაც აქვს თავისი ადმინისტრატიული სამმართველო, უნდა დაცული იყოს. ეხლა კი ამ წესის არ დაცვის გამო, განკარგულებას, რომ რუს მოქალაქეებმა ორი კვირის განმავლობაში უნდა განაცხადონ თავისი სურვილი წინანდელ ქვეშევრდომებათ დარჩენის შესახებ, არ ექნება კანონიერი ძალა აფხაზეთის საზღვრებში.

4. რადგან საქართველოსა და აფხაზეთის შორის ხელშეკრულების თანახმად დადგენილი იყო, რომ აფხაზეთი შეადგენდა ტერიტორიალურ ჯარს, ე. ი. ისეთ ჯარს, რომელიც აფხაზეთში უნდა ყოფილიყო და მისი ინტერესები დაეცა, ამავე დროს მობილიზაციის განკარგულება საქართველოს მთავრობიდან მოდის და ჯარი გაგზავნილ უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის განკარგულებაში, სოხუმის რუსულ ნაციონალურ საბჭოს არ შეუძლიან არ იცნოს მძიმე მდგომარეობა იმ რუს მოქალაქეთა, რომლებიც გაწვეულ იქნებიან ქართულ ჯარში და შეიქნებიან სახელმწიფოს მტრებად, ბრძოლის ველზე პირის პირ შეხვდებიან ღვიძლ ძმებს—რუსებს.

ზემო ნათქვამის მიხედვით სოხუმის რუსული ეროვნული საბჭო საჭიროდ სცნობს აღძრას შუამდგომლობა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის წინაშე, რომ რუს მოქალაქეთა კანონიერ უფლებების დასაცავად, გადათვალიერებულ იქმნას 16 ივლისის კანონი, განკარგულება კი რუს მოქალაქეთა სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვევის შესახებ შეჩერებულ იქმნას.

ამიერ-კავკასიის რუსთა ნაციონალური საბჭო.

## კანონ-პროექტები

საქართველოს საკათალ. საბჭოს მიერ წარმოდგენილია რესპუბლიკის მთავრობისადმი სამი ხარჯთ-აღრიცხვა: პ ი რ ვ ე ლ ი: ეხება ქართველ სამღვდელო პირთა შენახვის ხარჯებს; მთელს საკ. საბჭო ნაანგარიშევია 1425 შტატი: 1520 მღვდელი, 21 დიაკონი და 1501 მედავითნე; საკათ. საბჭო ითხოვს ჯამაგირებს თვეში: მღვდელს 300 მან., დიაკონს 250 მან., მედავითნეს 200 მან.; ამ ანგარიშით წლიური ხარჯი შეადგენს: 9.137.400 მან., მ ე ო რ ე: ეხება საკათედრო ტაძრების შენახვის ხარჯებს; საერთო თანხა წლიურად ნავარაუდევია: 486.200 მან. მესამე: ეხება საკათოლიკოზოს დაწესებულებათა შენახვის ხარჯებს; საერთო თანხა წლიურად ნავარაუდევია: 1.120.900 მან. სახელმწიფო კონტროლმა ასეთი დასკვნა წარმოადგინა: რადგან ჯერ არ არის კანონმდებლობითი გზით გადაწყვეტილი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიის შორის და არსებული კანონები შეცვლილი არ არის; რადგან ამასთანვე სამღვდელოება და საეკლესიო დაწესებულებანი ჯერხნობით ასრულებენ ზოგიერთ ფორმალურ სახელმწიფო საქმესაც, როგორც მაგალითად: მეტრიკის წიგნები, ქორწინების დოკუმენტები, ალსარების სიები და სხვა; რადგან გარდა ამისა სამღვდელოება დღევანდელ პირობებში მეტად გაჭირვებულია,—ამისითვის კონტროლს საჭიროდ მიაჩნია, რომ სამღვდელოებას მთავრობამ გაუწიოს დახმარება, ხოლო ეს შემწეობა არ იქნება იმ ზომის, როგორიც წარმოდგენილია საკათოლიკოზო საბჭოს მიერ: კონტროლს დაწვრილებით აქვს ანუსხული განზრახული შემწეობა. მთავრობა ამ დღეებში განიხილავს საკ. საბჭოს შუამდგომლობას კონტროლის დასკვნით.

—

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას კანონ-პროექტი შემდეგი მოხსენებით: რუსეთის იმპერიის მეფის საგვარეულო წევრების მატერიალურ ქონებას შეადგენდა შემოსავალი საუფლისწულო და საკაბინეტო მამულებიდან,—აგრეთვე შემოსავალი იმ მიწებიდან, რომლებიც მათ ეძლეოდათ საკუთრებად სახელმწიფოს სამიწო ფონდიდან; რუსეთის დროებითი მთავრობისა და აგრეთვე ამიერ-კავკასიის სეიმის კანონებით საუფლისწულო და საკაბინეტო მიწები გამოცხადებულია სახელმწიფო საკუთრებად,—ხოლო იგივე მიწები, რომლებიც მოქცეული არიან საქართველოს საზღვრებში, გადასული არიან უკანასკნელის ეროვნულ ფონდში. ამ პირობებში ის მიწებიც მათზე აგებული შენობებით, რომელთაც რუსეთის საიმპერატორო საგვარეულო წევრები ფლობდნენ კერძო საკუთრების უფლებით, გადასულ უნდა იქმნენ სახელმწიფო ქონებაში, რადგან უწყებული ქონებანი ნაშოვნი და გამართული არიან სახელმწიფოს ეროვნული მიწის ფონდიდან, ბორჯომის ქონება, რომელიც ეკუთვნოდა ერთს დიდ მთავარს, უკვე კონფისკაცია-მოხდენილია ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ. ამის მიხედვითა და პოლიტიკურის მოსაზრებითაც აუცილებლად საჭიროა, რომ ყველა ქონება, რომელიც ეკუთვნოდათ საიმპერატორო საგვარეულოს წევრებს და რომელიც მოქცეულია საქართველოს ფარგლებში, გამოცხადებულ იქნან საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად. მთავრობამ მოხსენება მოიწონა და კანონ-პროექტი გადაეცემა პარლამენტს.

## მრეწველობის ქრონიკა

მომარაგების მთავარმა კომიტეტმა 2 ოქტომბერს დაადგინა: ის საპონი, რომელიც კეთდება აკ. ხოშტარიას მიერ იჯარით აღებულ კომიტეტის ქარხანაში მიეყიდოს კოოპერატივებს და ქალაქის სამმართველოებს გირვანქა ხუთ მანეთად იმ პირობით, რომ ამ დაწესებულებებმა ეს საპონი გაიტანონ ბაზარზე ათი პროცენტის დამატებით აღნიშნულ ფასზე და რამდენიც შესაძლებელია, ყოველი ღონე იღონონ, რომ საპონი გაიცვალოს პურზე.

იმავე დღეს კომიტეტმა გადასწყვიტა მიჰყიდოს აგრეთვე კოოპერატივებს და ქალაქის სამმართველოებს ზემო აღნიშნულ პირობებით ასი ათასი წყვილი საცვალი (თეთრეული) ნარმიდან შეკერილი.

—

დიდუბეში დაარსდა ახალი ქიმიური ქარხანა სახელწოდებით „ატომი“. დამაარსებელნი არიან მადნის ინჟენერი სვიმონ ვასილისძე ბელეცკი და ინჟენერ-ტეხნოლოგი პეტრე კვირინის ძე ხოლევინსკი. ქარხანა ამზადებს შაბიამანს, ქიმიურად წმინდა სიმჟავეთ სააკკუმულატორო სიმჟავეს, ნიშადურს და მის მარილს, მწვანე საპონს, მღებავსა და ტყავის დამმუშავებელ მცენარეულ ექსტრაქტებს, ქლორის კირს და სხვა.

—

ამასწინად ტფილისში დაარსებულმა სავაჭრო და საფაბრიკო ამხანაგობამ „ბელაია რუს“ მიჰმართა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს შუამდგომლობით დახმარება გაუწიოს მას ტფილისში ქიმიური ქარხნის დაარსებისათვის. ამ ქარხნის დანიშნულება იქნება სხვა და სხვა ქონის დამუშავება და ნაყარ-ნუყარის გამოყენება საპნის, სანთლის და მარგარინის გასაკეთებლად. ამხანაგობას სურს იჯარით აიღოს ან იყიდოს ნავთლუღში ტყავის ქარხანა, რომელიც ეკუთვნოდა საეტაპო და სატრანსპორტო განყოფილებას. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო ნაწილმა მხარი დაუჭირა ამ თხოვნას და მიჰმართა მომარაგების კომიტეტს რჩევით, რომ ეს ქარხანა გარდაეცეს საექსპლოატაციოდ ამხანაგობა „ბელაია რუსს.“

## მთავრობაში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 24 ოქტომბრის 1918 წ. სხდომაზე დაადგინეს: „მიეცეს წინადადება ტყვიბულის მაღაროების მუშებს და მოსამსახურეებს ორი დღის განმავლობაში შეუდგნენ მუშაობას, და თუ ისინი დანიშნულ დროზე არ გამოცხადდნენ, ჩაითვალონ წასულებათ თავის ნებით, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად.

შრომის მინისტრს დაევალოს წარმოადგინოს საჩქაროდ ნორმალური წესები უწყებულ მაღაროებში მუშების შესახებ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა გზათა სამინისტროს, რომ მინისტრი ვერ სცნობს მოსახერხებლად შუამდგომლობის აღძვრას მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ რკინის გზის მილიციის უფროსს მიეცეს უფლება სასამართლოს დადგენილების გარეშე ვინმე შეიპყროს.

—

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ აცნობა გზათა სამინისტროს კანცელარიას მის შეკითხვაზე, ოქროს და ვერცხლის ფულის კონფისკაციის შესახებ, რომ სამინისტრო საჭიროდ სთვლის ყველა ოქროს და ვერცხლის ფულის კონფისკაციის მოხდენას და გადაცემას სახელმწიფო ხაზინაში. პატრონებს კი ნაცვლად ოქროსა და ვერცხლის ფულისა უნდა მიეცეთ ბონები და ყველა ამგვარი შემთხვევები ეცნობოს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს.

—

მთავრობის თავმჯდომარემ ყველა სამინისტროებს შემდეგი ცირკულიარული მიმართვა დაუგზავნა: „წინადადებას გაძლევთ ყველა სამინისტროებს წარმოადგინოთ სიები ყველა თქვენდამი რწმუნებულ უწყების დაწესებულებათა შემდეგის ცნობების აღნიშვნით: 1) რომელ ამ დაწესებულებებში მოხდა უკვე რეორგანიზაცია; 2) რომელ ამ დაწესებულებებში არ მომხდარა რეორგანიზაცია ან რომელ დაწესებულებაშია განზრახული რეორგანიზაციის მოხდენა და 3) არის თუ, არა და რომელ დაწესებულებაში, ზედ-მეტი შტატი მოსამსახურეებისა, რომელთაც ლიკვიდაციის მოხდენა შესაძლებელია.

—

სამხედრო მინისტრის განკარგულებით სამხედრო საკასაციო სასამართლომ უკვე დაიწყო მოქმედება. სასამართლოს დროებით თავმჯდომარეთ დაინიშნა გენ. ფელიცინი, დრ. წევრებად გენ. ტატიშვილი და გენ. მაყაშვილი.

—

ტფილ. საოლქო სასამართლოს წევრმა იაკობიშვილმა წარუდგინა იუსტიციის მინისტრს მოხსენება აღბულაღისა და სოხუმის საქმეების გამოძიების შესახებ.

—

იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გრ. გველესიანის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ დაამთავრა საქართველოს სენატის დაარსებისთვის შედგენილ პროექტის უმთავრეს დებულებათა განხილვა.

—

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ავად შეიქმნა. მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა მისი ამხანაგი საბახტარაშვილი.

—

გზათა სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს გაავებინოს რამდენად შეეფერება სინამდვილეს რკინის გზათა სასურსათო კომისიის ცნობა მაგარ სასმელებით ვაჭრობის თავისუფლების შესახებ და თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ როგორ და რა გზით შეიძლება ამ უფლების აღდგენა რკინის გზის ბუფეტების მოიჯარადრეთათვის. ამასთანავე დასძენს გზათა სამინისტრო, რომ აღნიშნულ შუამდგომლობის დაკმაყოფილებას არა მცირედი მნიშვნელობა აქვს რკინის გზის საერთო შემოსავლიანობის აწევისა და გაძლიერებისათვის. დასასრულ სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს თავისი აზრი დაუყოვნებლივ აცნობოს გზათა სამინისტროს.

—

გაემგზავრა ერევანში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ს. მდივანი.

—

ქართ. საქველმოქმედო საზოგადოება შუამდგომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მიეცეს ლტოლვილთათვის 150 ფუთი შაქარი და 25 გირ. ჩაი.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმის მწარმოებლად დაინიშნა ა. კ. იოსელიანი.

—

გზათა მიმოსვლის ოლქის უფროსმა ინჟ. გ. თუმანიშვილმა წარუდგინა გზათა მინისტრს ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება მიმოსვლის ოლქის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ 240 მან. თვეში მსგავსად რკინის გზის მოსამსახურეთა და მათ მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მოხსენება დასაბუთებულია მრავალი ტაბულებით და ფრიად საგულისხმიეროა, როგორც გამოკვლევა ამ სოციალურ საკითხისა.

—

ოთხშაბათს, 30 ამა ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე სახალხო განათლების სამინისტროში დანიშნულია კრება მთავრობის მიერ შემდგარ განსაკუთრებულ კომისიის, რომელიც შემდგარია სამხედრო, შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროების წარმომადგენელთაგან და რომელსაც დავალებული აქვს ყოველ მხრივი გამორკვევა დახმარების აღმოჩენისა, როგორც სამხედრო სამინისტროს, ისე ყველა უწყებების მოსამსახურეთა და მათ ოჯახთათვის სხვა და სხვა შემთხვევების გამო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის წარმომადგენლად ამ კომისიის სხდომაზე დანიშნა სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი ვალ. მგალობლიშვილი.

—

სამედიცინო-სასანიტარო ნაწილის უფროსმა ექიმმა მ. ო. ზანდუკელმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა სოფლის ექიმებს ჯამაგირები მოემატოს 400 მან. ნაცვლად 700 მან. მიეცეთ ვინაიდან ექიმები არ ჩერდებიან სოფლად ამ მცირე ჯამაგირით.

—

სომხეთა დიპლომატიურმა წარმონადგენელმა გარეშე საქმეთა მინისტრს მიმართა განცხადებით, რომ სახელმწიფო ბანკმა უარი უთხრა სომხეთა ფინანსიურ წარმომადგენელს სომხეთის რესპუბლიკისათვის საჭირო ბონების მიცემაზეო.

ამის შესახებ გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმათ ფინანსთა მინისტრს დავალებული აქვს, არ მისცეს სომხეთის წარმომადგენელს ბონები მანამდე, სანამ ერევნიდან საქართველოს მთავრობის მიერ ოქტომბრის 23-ს გაგზავნილ ნოტის დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებს ქართველ-სომეხთა უთანხმოების შესახებო.

—

მეცხრე დღეს სიმშილობის შემდეგ მეტეხის ციხეში მოთავსებულთ კომუნისტებს, სენატორ ნ. დ. სოკოლოვის საშუალებით, გამოეცხადა მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილება, რომ მთავრობა თანახმაა დააკმაყოფილოს მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვნილება პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ. სიმშილით გაფიცვა გათავდა 27 ოქტომბერს საღამოს. კომუნისტები განთავისუფლებული იქნებიან და გაიგზავნებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან.

—

ჯარში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ორგანიზაციის გეგმის შესაქმნელად სამხედრო მინისტრმა დანიშნა კომისია პოლკ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით, რომელშიაც წევრებად შედიან პოლკ. ჩიჩელაშვილი, პოლკ. ბოლგაევი, პოლკ. კიზირია, ოთხმეზური და ხაპიორის ბათალიონის ექიმი ტყეშელაშვილი.

—

მიწათ მოქმედების სამინისტრო საბჭომ საბოლოოდ შეიმუშავა კანონ-პროექტი მიწის ფონდის განაწილების შესახებ. შესაძლებლად სცნეს საბოლოო ნორმად მიიღონ 1918 წლ. 7 მარტის ნორმა (7 დესეტინა). საბჭო წინააღმდეგია კერძო საკუთრების დაცვაში რაიმე შევიწროებისა. საბოლოო რედაქციისათვის აირჩიეს კომისია: ლ. გ. ასათიანი, ს. ს. კონი და ს. ნ. ტიმოფეევი.

—

საქართველოს ლაშქრის სამხედრო საინჟინერო სექციის უფროსმა დაათვალიერა დარიალის სიმაგრეები, რომელიც ახლად შენდება და შეატყობინა სამხედრო მინისტრს, რომ სიმაგრეები ძლიერ მკვიდრათ და მტკიცეთ შენდება, მაგრამ მუშა ხელის ნაკლებობა აბრკოლებს მის დროზე დამთავრებას. სამხედრო მინისტრმა სანაპირო სადარაჯოების უფროსს უბრძანა მეტის სიფხიზლით აწარმოვოს ამ სიმაგრეთა დაცვა მის სააღმშენებლო დამთავრებამდე. სამხედრო მინისტრმა სთხოვა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრს რათა გაიცეს შესაფერი განკარგულება აღნიშნულ სიმაგრეთა აშენებისთვის მუშების გაგზავნისა და სხვა დახმარების აღმოსაჩენათ.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე სამედიცინო-სასანიტარო ნაწილის უფროს ექიმმა მ. ო. ზანდუკელმა შუამდგომლობა აღძრა 2.700.000 მან. გაღების შესახებ ყველა ხარჯების დასაფარად, რაც დასჭირდა მიხეილის საავადმყოფოს, ოლღას საბებიო ინსტიტუტს, ეპიდემიურ რაზმებს და სოფლის სამკურნალოებს და პუნქტებს, რომელნიც დიდ ფინანსიურ კრიზისს განიცდიან.

# დეპეშები.

## ომი.

ბ ე რ ლ ი ნ ი. 28 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ღირსაღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა. დეინზის სამხრეთით და ლოგემის აღმოსავლეთით და შელდის სამხრეთით არტრთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ენგლფონტენთან და ფამართან ტყვეთ ჩაგვივარდნენ ინგლისელები.

გერმანიის კრონპრინცის არმია. ტოპონისთან მტერი შეეცადა უაზის არხზე გადასვლას, მაგრამ ჩვენი წინააღმდეგობის გამო ვერ შესძლო. უაზისა და სერის შუა ჩვენი ჯარი, რომელიც ორინიისა და ლაფორის შუა სექტორი ეჭირა, ჩვენ დავსწიეთ გიზის დასავლეთ და კრესის აღმოსავლეთ ხაზზე. გიზის სამხრეთით მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს ახალ ხაზზე. მტერმა მრავალი ჯავშნიანი ავტომობილი დაჰკარგა და ვაიძულეთ უკან დაეხია. სუმის სექტორში, ფრუადმონის და პიერმონის შუა ფრანგების განახლებული იერიში დავამარცხეთ. გუშინ მდინარე ენის დასავლეთით მხოლოდ ადგილობრივ ხასიათის ბრძოლა სწარმოებდა. მდინარე ენის დასავლეთით და რეტელის სამხრეთ-აღმოსავლეთით რეილისთან ჩვენმა ჯარმა მოიგერია მტრის იერიში. ვუზიერის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. შესტრის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

გალვიცის არმია. მაასის აღმოსავლეთ მაღლობებზე კუზენვუას და ორმონტის ტყესთან ჩვენ მოვიგერიეთ ამერიკელთა იერიშები.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. ჯარის გადაჯგუფება წესიერად სწარმოებს. რუდნის სამხრეთით, ტოპოლთან, ძლიერი ბრძოლაა. მარნის ორივე მხარეზე უმნიშვნელო ბრძოლაა.

ვ ე ნ ა, 28 ოქტ. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. ზიებენგემეინდში მტრის იერიში მოვიგერეთ. ბრენტის აღმოსავლეთით, 60 კილომ. ფრონტზე, ძლიერი ბრძოლა სწარმოებს. ბრენტის და პიავის შუა, მთებში, მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა, რომელიც ჩვენ დავამარცხეთ. ფონტანო-სეკკას სამხრეთით ჩვენ დავიბრუნეთ ძველი პოზიციები და მტრის მრავალი ჯარის კაცი წამოვიყვანეთ ტყვეთ. 27 ოქტ. ღამით მტერი იერიშით წამოვიდა პიავაზე. ვალდობიადენთან მტერმა შესძლო მდინარის მარცხენა ნაპირზე მცირე ტერიტორიის დაჭერა. ბიგოლინოსთან დ ვარდართან მტრის იერიში მოვიგერეთ. მტერმა შესძლო ვადარის ქვევით მდინარეზე გადასვლა, ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიშით შეუტია. საღამოთი ბრძოლა სწარმოებდა სოფელ მორიაგოსა და სერნაგლიესთან. იტალიელნი შეეცადნენ მონტელოს მთის ძირში წინ წაწევას, მაგრამ მტრის ცდა დავამარცხეთ.

რ ო ტ ე რ დ ა მ ი. 27 ოქტ. ბელგია-ჰოლანდიის საზღვრებიდან „ნიეჲ-როტერდა მიზეკურანტუს“ აცნობებენ, რომ გენტში მოკავშირეთა ყუმბარებით ქალაქის მცხოვრებნი დაიჭრნენ. გერმანიის არმიის მარჯვენა ფლანგი მოწინააღმდეგეს აჩერებს. გერმანელებმა ძალების მომატების შემდეგ სტროსბრიუგე დაიბრუნეს. ჰოლანდიის ტერიტორიაზე ყუმბარები ვარდება. ჰოლანდიის ბურგომისტრის სახლს ორჯერ დაეცა ყუმბარა.

## უ ც ხ ო ე თ ი.

ცნობები მოსკოვიდან.

მ ო ს კ ო ვ ი. 28 ოქტ. ც. აღ. კომ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. (დამახინჯებულია).

პ ა რ ი ზ ი, იმპერატორ კარლმა დაავალა თავად ლომკოვიცს განსაკუთრებული მისია შეასრულოს პარიზში ჩეხელ დეპუტატების წინაშე.

ვ ა შ ი ნ გ ტ ო ნ ი, 26 ოქტ. ფილადელფიაში ვილსონის „ხალხთა კავშირში“ ევროპის პატარა ერების წარმომადგენელთა კონფერენცია დამოუკიდებლობის შესახებ.

ბ ე რ ლ ი ნ ი. 27 ოქტ. რეიხსტაგში საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა სოლუმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ გერმანიის ჯარს ბრალს სდებენ საერთაშორისო უფლების დარღვევაში და სიმხეცის ჩადენაში. მთავრობის სოციალისტმა ნოსკემ გაილაშქრა „დამოკიდებელთა“ წინაღმდეგ და სთქვა, რომ მთავრობის სოციალისტებს სურთ გერმანიის პროლეტარიატს არსებობა შეუნარჩუნონ; გერმანიის კოლონიების დათმობა კი უსამართლო ზავის დამყარებას ნიშნავს. შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ტიმბორნმა სთქვა, რომ მთავრობის პროპაგანდა ცენზურს და საალყო წესების შესახებ უსათუოდ განხორციელდება. დეპუტატი შტალი უნდა გადადგეს, რომ ამომრჩევლებმა გადაწყვიტონ: ვის გადაეცეს მანდატი, შტატს, თუ ლიბკნეხტს (შემდეგ დამახინჯებულია) წაიკითხა ვილჰელმის წერილი რომანოვისადმი მიწერილი, „კომუნაში“ გამოქვეყნებული და ბოლოს დამოკიდებულ პარტიის სახელით მოუწოდა საერთაშორისო პროლეტარიატს თავის ხელში აიღოს ზავის საქმე.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 27 ოქტ. გერმანიის სამხედრო საბჭომ განიხილა ვილსონის ნოტა და დასვა კითხვა როგორ დაიცვან და უშველონ იმპერატორს. ფიქრობენ, რომ ვილსონი მოითხოვს გაუქმდეს იმპერატორის უფლება, როგორც ჯარის უმაღლეს სარდლის.

პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი, 27 ოქტ. ფინლიანდიიდან მოსული ცნობით, სვინხუდის კაბინეტი გადადგომას აპირებს. აპირებენ კოალიციონურ მთავრობის შედგენას.

ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი 27 ოქტ. შვეციის ბურჟუაზიის პრესა ბოლშევიკების წინააღმდეგ წერას განაგრძობს, რადგან გრძნობს, რომ ბოლშევიზმი მთელ ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

მ ო ს კ ო ვ ი, 28 ოქტ. გერმანიის პრესა ვილსონის ნოტის შესახებ: „ბერლინერ ტაგებლატი“ მოაგონებს ვილსონს, რომ მის მიერ აღიარებული პრინციპების თანახმად აკრძალულია სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა. გაზეთები შიშს გამოსთქვამენ ბოლშევიზმის გაძლიერების გამო“. „ფორვერტსი“ ვერ ხედავს კაიზერის გადადგომა მოითხოვოს. ვილსონის ცდება, თუ ფიქრობს მას, რომ გერმანიის ყოფილ მმართველებს გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლიათ. გამოსთქვამენ შიშს, რომ ზავის მოლაპარაკების დროს ვილსონის პროგრამით არავინ იხელმძღვანელებს და გამარჯვებულთ მადა გაეხსნებათ“. ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ სწერს: „ხალხს მოსწყინდა ძველი რეჟიმი (გადამახინჯებული და გამოტოვებულია). მიუნჰენში დამოუკიდებელთა კანდიდატს კურტ იხლერს ოვაციით შეეგებენ. წარმოადგინეს მოთხოვნილება დაუყონებლივ გამოცხადდეს გერმანიის სოციალისტური რესპუბლიკა, რომელშიც გერმანიის ავსტრიაც უნდა შევიდეს. ასეთი რესპუბლიკა, ლიბკნეხტით სათავეში, 24 საათის განმავლობაში მიაღწევს ზავს. ბურიანმა აცნობა ვილსონს, რომ ავსტრია იარაღს ჰყრის და მათ ნებდება. ბურიანის ადგილი დაიჭირა ანდრაშიმ. ბავარია: ბავარიის მასაში მოძრაობაა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ბავარიის ლანტაგის ფრაქციის თავმჯდომარემ გაჰკიცხა მასსის ასეთი ტენდენცია და სთქვა, რომ ბავარიაში შემუშავდა კავშირის პლანი, რომლითაც ავსტრიის გერმანელებიც იქნებიან შემოერთებული.

ბ უ დ ა პ ე შ ტ ი. 27 ოქტ. ვეკკერლეს მაგიერ ჰუნგრეთის მინისტრ პრეზიდენტათ დაინიშნა გრაფი კაროლი. მთავრობაში შევიდნენ სოციალისტები—კუნი და გირამი. ვეკკერლეს გადადგომა გამოიწვია კროაციაში და სლავონიაში მომხდარმა აღელვებამ. ამ ოლქებში რევოლიუციონური მოძრაობაა, სერბიელი სამხედრო ტყვეები გაანთავისუფლეს.

ს ტ ო კ ჰ ო ლ მ ი. 27 ოქტ. ფინლიანდიის სენატმა მოსთხოვა შვეციის მთავრობას ფინლიანდიის რევოლიუციონური მთავრობის ფინანსთა-საქმის კომისარის ჟილუნგის გაცემა. შვეციას არ გაუცია პასუხი. კონტრ-რევოლიუციის ბუდე: უკანასკნელ ცნობით ადერბეიჯანის თათრების სიმტკიცე ბაქოს აღების დროს ნამდვილია. 15,000 სომეხია დახოცილი. შავი ქალაქისა და მეშირკინლის მცხოვრებნი დახოცილია. ბალახანის საავადმყოფოში ავადმყოფები ამოხოცეს. ექიმებმა ტანჯვა რომ აეცდინათ, თავი მოიკლეს. ლტოლვილთა თავშესაფარებაში ბავშვები და ქალებიც დახოცეს: გვამები იხრწნება და ქუჩაში სიარული შეუძლებელია.

ე ქ ა ტ ე რ ი ნ ო დ ა რ ი, 29 ოქტ. მოხალისეთა არტილერიის საწყობი აფეთქდა.

დ ო ნ ი ს რ ო ს ტ ო ვ ი, 25 ოქტომ. პრიაზოვსკის კრაის ცნობით ხარკოვში. პოლტავაში და ჩერნიგოვში გაიხსნა ბიურო დენიკინის არმიაში მოხალისე აფიცერთა ჩასაწერად. ქვა-ნახშირის გზავნა ცუდ პირობებშია ვაგონების უქონლობის გამო. გამოზიდვა ყოველთვიურად მცირდება.

ვ ო რ ო ნ ე ჟ ი, 27 ოქტ. კრასნოვის ბრძანებით ტყვე წითელ-არმიელებს აღარ ხვრეტენ. მათ გზავნიან მაღაროებში. ეს აიხსნება მით, რომ დონეცის ოლქში მუშა ხელი აღარ არის.

ს ა მ ა რ ა, 28 ოქტ. დამფუძნებელ კრების ჯარმა ჩელიაბინსკის დაცლის შემდეგ დაიხია, ისინი ფიქრობენ გაზაფხულზე ციმბირში მოკავშირეებს შეუერთდნენ და შემდეგ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრონ. ჩეხოსლოვაკები უკან დახევის დროს ჯარს აგროვებენ და ციმბირში გზავნიან.

მ ო ს კ ო ვ ი, 28 ოქტ. ხოლერიანთა რიცხვი თანდათან კლებულობს. გაიხსნა სრულიად რუსეთის ყრილობა ვაჭრობის ნაციონალიზაციის შესახებ. ლარინის, ბრონსკის და სენარევის მონაწილეობით შეიმუშავეს პროექტი შინაურ და გარეშე ვაჭრობის ნაციონალიზაციის შესახებ. 6 ნოემბრიდან იწყება მსმენელთა მიღება გენერალურ შტაბის აკადემიაში.

# ახალი ამბები.

## სახსადი

◯ ტფილისში სახადით ავადმყოფობა გაჩნდა. ყოველ დღე საავადმყოფოში 2—3 ამ სახით ავადმყოფი მოჰყავთ. უმეტესა რიცხვი სახადით ავადმყოფებისა გასულ კვირის განმავლობაში საავადმყოფოში მიუყვანიათ 21 ოქტომბერს—14 კაცი. ერთ დღეში და 24 ოქტომბერს 7 კაცი. ამჟამად საავადმყოფოში 57 სახადიანი იმყოფება.

## ქალაქის გამგეობა

◯ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ზედ დამატებით მიეცეს 20,000 მან. ქალაქის გამგეობის და საბჭოს ანგარიშების, მოხსენების, ხარჯთ-აღრიცხვის და ამბების დასაბეჭდად, რადგანაც ამ მიზნისთვის გადადებული ფული არ ეყო.

◯ ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადაეცეს 2,000 მან. საერო გვარდიის უმთავრეს შტაბს ერთდროულ დახმარების აღმოსაჩენად მოკლულ გვარდიელების სიმონ ვახტანგიშვილის და დავით ბერიძის ქვრივებს ოლღა ვახტანგიშვილისას და მარიამ ბერიძისას.

◯ ტფილისის „კრუჟოკის“ საზამთრო ბინაზე გადმოსვლა გვიანდება, რადგანაც ქალაქის გამგეობას ვერ მოუსწვრია ამ ბინის შეკეთება. 27 ოქტომბრის თათბირზე ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის, რომელსაც „კრუჟოკმა“ კიდევ ერთი წლით დაუთმო თავისი ახალი ბინა გოლოვინის პროსპექტზე და „კრუჟოკის“ წარმომადგენელთა შორის თანხმობა შესდგა მის შესახებ, რომ „კრუჟოკის“ ძველ ბინას გაუღონ შესავალი უნივერსიტეტის შესავლიდან გოლოვინის პროსპექტის მხრიდან.

◯ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ გამოცემულ საგანგებო ინსტრუქციას სპეკულიაციასთან ბრძოლის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად.

## ა ტ რ ა

◯ საბაქტერიოლოგიო რაზმმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ მან 26 ოქტომბრიდან მოსპო ხოლერის აცრა ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოში და თავისი მოქმედება გადააქვს მესამასე ვერსზე, სადაც მას სწადია ლტოლვილთა შორის სახადის აცრის გავრცელება. რაც ტფილისში ხოლერა დაიწყო საქართველოს ქალაქების კავშირის ამ საბაქტერიოლოგიო რაზმს აქამდე 27,674 სულისთვის აუცრია ხოლერა, მათ შორის 18,526 ლტოლვილებისთვის, 775 ჯარის კაცისთვის, 2,333 სამკურნალოში მოსულ მოქალაქეთათვის და 6035 მოქალაქეთათვის რაზმის ბინაში.

## სახელმწიფო განყოფილებაში

◯ საქართველოს რესპუბლიკის საბეითლო გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ პირველ ნოემბრიდან მდგომარე წლისა ყველა საბეითლო დაწესებულებებმა შემოიღონ საქმის წარმოება ქართულს ენაზე.

◯ საქართველოს რესპუბლიკის საბეითლო გამგეობამ გადასწყვიტა რიგით გაგზავნოს საქართველოს რესპუბლიკიდან თვე ნახევარის ვადით ორ-ორი ბეითალი ქუთაისის საქონლის შრატის დამამზადებელ სადგურზე შრატის დამზადების და აცრის ტეხნიკასთან გასაცნობად.

## რკინის გზაზე.

◯ 25 ოქტომბერს, ივ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით შესდგა გზათა სამინისტროსთან არსებულ სატერმინოლოგიო კომისიის სხდომა, რომელზედაც მოხსენდა შედეგი იმ მუშაობისა, რომელიც დავალებული ჰქონდა კომისიის მდივანს დ. ი. არონიშიძეს. გამოირკვა, რომ ყველა სიტყვები ანბანის წესით დაწყობა მდივანს დაუმთავრებია კომისიის წევრ არ. გაბიჩვაძესთან ერთად. კრებამ დაადგინა საბოლოო სხდომაზე მოიწვიონ პროფ. ივ. ჯავახიშვილი, მოსე ჯანაშვილი, პეტრე მირიანაშვილი და ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე. ამ პირთა თანადასწრებით განხილულ იქნება მხოლოდ სადაოდ მიჩნეული სიტყვები, ხოლო კი მისიის ნამუშევარის საერთო გადასინჯვის საკითხის არსებითად განხილვა მომავლისათვის გადასდო. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს დაევალათ საგანგებოდ მოწვეულ პირებს მოელაპარაკონ, როდისთვის შეუძლიანთ საბოლოო გადამწყვეტ კრებაზე დასწრება; ამ პირთ გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭებათ, კომისიის წევრთ კი რჩევითი ხმები ეძლევათ.

## ქართული ლატარია.

◯ ლატარიის გამგეობამ გაგზავნა ჩოხატაურს ათასი მომგებიანი ბილეთი, რომლის გავრცელება ითავა ჩოხატაურის რაიონის სოც.-დემ. პარტიის კავშირმა.

◯ სამტრედიის სოც. დემ. პარტიის კავშირს გაეგზავნა 600 მომგებიანი ბილეთი.

◯ ოზურგეთის და ლანჩხუთის რაიონის სოც. დემოკ. ორგანიზაციას გაეგზავნა ათასი მომგებიანი ბილეთი.

◯ ლატარიის გამგეობის კომისია გამგე დირექტორის ს. ახვლედიანის მეთაურობით დღეპშით იუწყება ქუთაისიდან, რომ საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა ლატარიის საქმეს; მოეწყო საგანგებო კომისია, რომელიც ენერგიულად შეუდგა მუშაობას. პირველ დღესვე გასაღებულია 25 ათას მან. ბილეთი.

◯ ამიერ-კავკასიის ბანკს ტფილისში გაუნაღდებია 4,400 მან. მომგებიანი ბილეთები.

## რადიო სადგური.

◯ საქართველოს რადიო სადგურის ინსპექტორმა აცნობა მთავრობას, რომ 14 ოქტომბერს ფოთში დაარსდა რადიო სადგური, რომელსაც კავშირი ექნება სტამბოლსა, კერჩსა, ოდესა, ნიკოლაევსა და ბერლინთან.

## ნავთი.

◯ გზათა სამინისტროს განკარგულებაში მოვიდა 40 ვაგ. ნავთი. აქედან 34 ვაგონი რკინის გზებს მოხმარდება, დანარჩენი 6 ვაგონი ქალაქის თვითმართველობას და ტფ. რაიონის მექარხნეთა კავშირის შორის განაწილდება.

◯ ალავერდიდან მოელიან 19 ვაგონ ნავთს, რომელიც ქალაქის თვითმართველობის ტფ. რაიონის მექარხნეთა კავშირის შორის განაწილდება.

◯ სათბობ მასალის სათათბიროს რამდენიმე შუამდგომლობა მოუვიდა ნავთის თავისუფალ შემოტანისა ნება დართონ. ერთი მათგანი 150000 ფ. თხოულობდა, სათათბირომ დაადგინა: არავისთან ხელშეკრულობა არ დასდოს, ვიდრე ბაქოდან ნავთის მოზიდვის საკითხი არ გამოირკვევა. სათათბიროს მიერ ნებადართულია ყველას შეეძლოს კავკავიდან თავისუფლად ნავთი შემოიტანონ.

◯ სათბობ მასალის სათათბიროს სთხოვეს რეკვიზიცია არ უქნან უკვე ჩამოტანილ ნავთს. საკითხი ქალაქის თვითმართველობას გადაეცა.

◯ ქ. გორში აღმოაჩინეს 1800 ფუთი გადამალული ნავთი, რომელიც ქალაქის თვითმართველობას გადაეცემა.

## ისპანკა.

◯ სამედიცინო სასანიტარო ნაწილმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე ინფლუენციის ან ევრედ წო-

დებულ ისპანკის გავრცელების გამო გაიხსნას ყველა აფთიაქები. დაწესდეს, რომ ზევრმა აფთიაქმა გასწიოს მორიგეობა, ვინაიდან აუარებელი რეცეპტები შედის და დროზე წამლის გაცემას ვერ ასწრებენ.

"აზნაზეთის ამბები."

○ ტფილისში დაბრუნდა სოხუმიდან ტფ. საოლქო სასამართლოს წევრი ო. კობიაშვილი, რომელიც გაგზავნილი იყო აფხაზეთის უკანასკნელ ამბების გამოსაძიებლად. მან მოხსენება წარუდგინა იუსტიციის მინისტრს.

კონფლიქტის გამო.

○ ქალაქის საბჭომ მოისმინა რა ცნობა სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკათა შეიარაღებულ ნაწილების შორის მომხდარ კონფლიქტზე, გამოსთქვა სურვილი აღნიშნულ კონფლიქტის მშვიდობიანათ დასრულებისა.

სათბობის საკითხი.

○ სათბობ მასალის სათათბირომ საჩქაროდ განიხილა სათბობი მასალის მუდმივ კომიტეტის დაარსების საკითხი, რომლის წესდება უკვე მიიღეს. დებულებას ამ დღეებში დაამტკიცებს ფინანსთა მინისტრი.

ხელოვნება.

○ ქართული სამუსიკო საზოგადოება პარასკევს, 1 ნოემბერს, კონსერვატორიის დარბაზში მართავს ფრიად საყურადღებო კონცერტს. საღამო შესდგება განსაკუთრებით გერმანულ მუსიკისაგან.

ბოროტმოქმედება.

○ 26 ოქტ. ღამით ალიხანოვის საწყობებიდან (გამუსანოვის შესახ. № 1) ბოროტ-გამ. წაიღეს 60 ფუთი შაქარი.

○ 27 ოქტ. ღამით პირველ ლაზარეთის ქუჩაზე ნახეს გვამი აბაზაშვილის. მკვლელი ჯარის კაცი მეხუთე ქართ. პოლკის მიხეილ მაჩაიძე დაიჭირეს.

○ 27 ოქტ. ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ნახეს ტომარა, სადაც აღმოჩნდა მოჭრილი ადამიანის ფეხები.

○ ოქტომბრის 28 ღამით სასტუმრო „ანგლეტერში" შევიდა 2 უცნობი და დაუკაკუნეს ოთახის № 8 მდგმურს პოლკოვნიკ მილოვს. როცა კარი გაიღო უცნობნი შეცვივდნენ ოთახში, მილოვს პირი აუხვიეს და გაიტაცეს 8 ათასი მან.

○ 28 ოქტომბერს ორთაჭალაში ვ. ბარამიძემ რევოლვერით მოჰკლა ე. ჯიქია. გავლილი ტყვია მოხვდა აგრეთვე იქ მდგომ ფ. თოიძეს და მძიმეთ დაიჭრა.

○ 28 ოქტომბერს ნავთლუღის ყორულიდან მოიპარეს 7 კამეჩი 17000 მანეთად ღირებული. ქურდი აღმოაჩინეს და დააპატიმრეს.

○ 26 ოქტომბერს მაღლაკელიძის ბინიდან მოიპმრეს 4 ათასი მანეთი ფული და ძვირფასი ნივთები.

აფთიაქთა რევიზია.

○ შესდგა საგანგებო კომისია სხვა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან აფთიაქთა და სააფთიაქო მაღაზიების დასათვალიერებლად და ფალსიფიცირულ წამლების აღმოსაჩენათ

## ტფილისის საგუბერნიო კომისარიატში

ტფილისის გუბერნიის კომისარი შ. ნ. მაღლაკელიძე ამ დღეებში დაბრუნდა თელავისა და სიღნაღის მაზრებში მოგზაურობიდან. ადგილობრივი მდგომარეობის გაცნობამ დაარწმუნა გუბერნიის კომისარი, რომ თელავის მაზრაში გავრცელებულს ანარქიას შესაფერი სიმტკიცით ვერ ებრძვის ადგილობრივი ადმინისტრაცია, რადგან ის სუსტი გამოდგა მისთვის, რომ თავი გაართვას ამ მაზრაში შექმნილს მეტად რთულს მდგომარეობას. ამის გამო ტფილისის გუბერნიის კომისარმა მთელი საადმინისტრაციო უფლებებით აღჭურვა და საგანგებო რწმუნებულათ გაგზავნა თელავის მაზრაში მოქალაქე ივანე არონიშიძე, რომლის სრულს განკარგულებაში იქნება თელავის მაზრის ყოველგვარი სამხედრო და საზოგადო ძალები და რომელიც დაუყონებლივ შეუდგება ანარქიის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღების და წესრიგის აღდგენას...

—

თელავიდანავე 25 ოქტომბრის თარიღით გამოგზავნილი დეპეშით ადგილობრივი მაზრის კომისარის თანაშემწე აბაშიძე ატყობინებს ტფ. გუბერნიის კომისარს: კარჯალულ თათართა 8 კაცისაგან შემდგარი ყაჩაღთა გუნდი, რომელიც თელავის ირგვლივ მოქმედებდა და მთელ ხალხს თავზარსა სცემდა, სურვილს აცხადებს თავის ნებით ჩაგვაბაროს იარაღი და მთხოვენ ვიშუამდგომლო თქვენს წინაშე, რომ მიეცეს მათ თავიანთ სოფლებში თავისუფალი ცხოვრების ნება; სდებენ ფიცს და გვაძლევენ პირობის წერილს, როგორც მე, ისე მათი სოფლის ცნობილს შეძლებულს პირებს, რომ იცხოვრებენ სრულიად მშვიდათ და არსებულს მთავრობას სავსებით დაემორჩილებიან. როგორც საქმესთან ახლოს მდგომი და ყოველივე გარემოების მცოდნე ვშუამდგომლობ და გთხოვთ თქვენს შესაფერს განკარგულებას.

—

ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი იტყობინება, რომ გურჯარეთლები ძარცვავენ ახალო-მახლო მცხოვრებთ და გადმოხვეწილებს და საჭიროა მაზრის კომისარების შემწეობით ძარცვა-გლეჯის მოსპობა და წესრიგის აღდგენაო.

გუბერნიის კომისარმა შესაფერი ზომები უკვე მიიღო.

## სახელმწიფო თეატრი

კვირას, 27 ოქტომბერს, გაიმართა პირველი სანიმუშო კონცერტი სამხედრო ინსტრუმენტების დასურათებით. საყურადღებოა ეს კონცერტი შედარების მხრივ, რადგან ჩვენ სამხედრო ორკესტრებთან ერთად მონაწილეობას იღებდა გერმანული სამხედრო ორკესტრიც. ამ კონცერტმა მეტად დამახასიათებელი განსხვავება წარმოგვიდგინა ქართველების და გერმანელების შორის. მუსიკამ სამაგალითოდ დაგვანახვა მთელი კულტი ამ ორი ერისა.

ყოველი წევრი ჩვენი ორკესტრისა ცდილობდა გამოეჩინა თავის ტეხნიკა, სიმშვენიერე ტონისა, საერთო ცოდნა თავის პარტიისა. მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული გარეგნულ პოზას—ეფექტს, ვინემ თვით მუსიკის შინაარსს.

გერმანული ორკესტრი.—ტეხნიკა, წესრიგი, ინსტიქტი და ცოდნა მიმართულია იმ აზრისაკენ, რომ ორკესტრი წარმონდგენს ერთმთლიანს. ორკესტრი არის მასსიური ძალა, სადაც პიროვნება ემორჩილება ერთ განკარგულებას. ეს არის ანსამბლი. მათი ასრულება არ გამოიწვევს მუსიკალურ აზრის-ლოღიკის დარღვევას, არამედ აშუქებს შინაარსის მნიშვნელობას. გერმანელი გამოხატავს თავის გრძნობას, სულის კვეთებას როგორც შეჰშვენის დარბაისელ ადამიანს. ჩვენები-კი—ვინ ვის დაასწრებს.

ამისათვის ჩვენ ორკესტრს აკლდა ის სოლიდარობა, რომელიც თვალ-ნათლივ დაგვანახვა გერმანელ სამხედრო ორკესტრმა თავის დისციპლინით.

როგორც პირველი ნიმუში ეს კონცერტი საყურადღებო იყო, მაგრამ დანიშნულება სამხედრო ორკესტრებისა როგორც ევროპაში და სხვა კულტურულ ქვეყნებში არის—ეს ორკესტრები კვირა-უქმე დღეს უკრავენ ხალხის გასართობად და გასანვითარებლად, როგორც მუშტაიდში, ალექსანდრეს და ბოტანიკურ ბაღებში, სახალხო თეატრებში.

ლოცვა ქართველი ერისა და ლაშქრული კარგად არის დაწერილი. ეს ნამდვილი ტიპიური ქართული მუსიკის შემოქმედებაა. რაც შეეხება არმაზის ჰიმნს „კერპთა დამხობიდან" ჩვენ პირადათ სუსტათ მიგვაჩნია, რადგან ინსტრუმენტების ხმაურობას და უშინაარსობა ახასიათებს მას.

„თავისუფლების (ქართული) მარში" მომაგონებს ანდაზას: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო". ბ. ფოცხვერაშვილს დამახინჯებით გადმოუწერია „ტანეც ჟივოტა". ვისაც ჰსურს დარწმუნდება ამის ნოტებით.

გურჯანელი.

## განცხადებები

### აუქციონი

ტფილისის პირველ კერძო ლომბარდისა შესდგება 1918 წ. ნოემბრის 10, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში, (ლორის-მელიქოვის ქ., № 8, საკუთ. სახ.) გაიყიდება ვადა გასული გირაოები. ძვირფასი ქვები, ლითონისა და სხვა საგნები №№ 57636, 58711, 61083, 62291, 64694, 64927, 65128, 65306, 66042, 66043, 67618, 68736, 69771, 70204, 70295, 70356, 70514, 70795, 70904 71081, 71132, 71457, 71885, 71984, 72312, 73249, 73311, 73434, 73477, 73486, 73514, 73576, 73597, 73606, 73732, 73766, 73816, 73837, 73851, 73864, 73886, 73894, 73897, 73898, 73913, 73962, 73985, 74087, 74116, 74118, 74163, 74177, 74206, 74296. 74321, 74359, 74377, 74393, 74406, 74444, 74481, 74508, 74520, 74522, 74523, 74525, 74534, 74551. 963 1—1

პორუჩიკი დობროელიანსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მიბარების ხელწერილი 5% შინაგან სესხისა № 3206, 1914 წ. მიღებული. 940 3—1

### დავკარგე

ტფილისის სადგურზე—22 ოქტომბერს, ქუთაისისაკენ მიმავალ ღამის მატარებელში, უბის წიგნაკი საბუთებით და ფულათ 228 მ., მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს მხოლოდ ჯ.-ქ. უგზო-უკვლოდ დაკარგული ერთი ძმის სურათი, ქართ. უნივერს. სასარგებლოდ ლატარიის ბილეთი № 185 და დეპეშა მეორე ძმის გადაცვალების შესახებ. მისამართი: მთავრობის სტამბა—დათიკო ნიკოლოზის ძე ლოლობერიძეს 1—1.

### სასწრაფოდ იყიდება

რუსეთში წასვლის გამო, გასტრონომიული მაღაზია „ალო" ელისაბედის და გლდანის ქუჩის კუთხე. 941 3—3

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული კრაულისი, სამოქალაქო სამართ. საქ. წარმოების მე-10030 მუხ. ძალით, აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 7, დილის 10 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბაგრატ და ანნა არშაკუნის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს ოქროს ავეჯეულობას. ქონება იყიდება ტფილისის მე-2 საურთიერთო ნდობის საზოგადოების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ქონება შეფასებულია 251 მან. ვაჭრობა მოხდება ტფილისის მე-2 საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბინაზე. 971 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლო ამითი აცხადებს, რომ მისის ამა 1918 წლის 23—30 სექტემბრის დადგენილებით ვაჭრობის მხრივ შეუძლებელ მოვალედ არის ცნობილი ამხანაგობა „ი. პ. მელიქ-ბახტამიანცი და ამხ."—ამა ამხანაგობის წევრთა იაკობ ბალდასარის ძე მელიქ-ბახტამიანცისა და ანდრიას პატუაკანის ძის ბარხუდაროვის დასახელებით. ამის გამო დაწესებულებანი და მოხელენი ვალდებულნი არიან: 1) მოვალის უძრავს ქონებას ყადაღა დაადონ, ხოლო მოძრავი ქონება შეკრულად იცნონ, თუ მათს უწყებაში ასეთი ქონება მოიპოვება; 2) აცნობონ ოლქის სასამართლოს თუ ერგებათ რამე შეუძლებელ მოვალისაგან, ან იმათგან თუ ერგებათ რამე შეუძლებელს მოვალეს. კერძო პირნი ვალდებულნი არიან განუცხადონ ოლქის სასამართლოს: ა, რა ვალიც აძევს იმათი შეუძლებელს მოვალეს და რა ერგება იმათგან ამ უკანასკნელს, თუნდა ფულის გარდახდევინებისა ანუ გარდახდის ვადა ჯერ არ იყოს დამდგარი; ბ, აქვთ თუ არა რაიმე ქონება შეუძლებელ მოვალისა შესანახად ან გირაოდ მიღებული, ან იმისთვის მიცემული.

ეს განცხადება უნდა შემოტანილ იქნას ოთხის თვის განმავლობაში ამა განცხადების გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა"-ში მესამედ დაბეჭდვის დღიდგან. 615 3—3

ქ. ტფილისის მესამე სამომრიგებლო განყოფილების სასამართლოს ბოქაული ვ. კ. აბაშიძე ამით აცხადებს, რომ 1918 წლის, ნოემბრის დილის ათ საათზე, გოგოლევის ქუჩაზე, № 7, მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა პეტრე პიროევის და ლაზარე იაკუბოვის უძრავ ქონებაზე, რომელიც შესდგება $1\frac{1}{2}$ საჟენი შეშისაგან დაფასებულია 240 მან. ქონება აწერილია ანდრია პატრიასოვის დასაკმაყოფილებლად 265 მანეთში. ვაჭრობა დაიწყება შეფასების თანხიდან. 973 1—1

ამით ცხადდება, რომ ფულთან და ნივთებთან ერთად დაიკარგა ათასი მან. თამასუქი, ს. გ. შახნაზაროვას სახელზე მიღებული 1917 წ. 1 მარტს ივანე არტემის ძე ახვერდოვისაგან ვადით—1918 წ. 1 მარტამდის. ეს თამასუქი გაუქმებულად ითვლება. 932 3—3

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე 1918 წ. აგვისტოს 21 დადგენილებით, სისხ. სამ. საქ. წარ. წესდ. მე-846 მუხ. ძალით ეძებს ქ. სოხუმის მცხოვრებს ტარასი (იგივე სოლომონი) ფახულის ძე კირცხალიას, რომელსაც ბრალი ედება სასჯელთა დებ. მე-169 მუხ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს კირცხალია, ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეს. 320 3—1

მიჯით მირზა-უსუფ-ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან 1905 წელს. მპოვნელს სთხოვენ გამოუგზავნოს: მოსკოვის ქ. № 7. 960 3—1

სახალხო გვარდიის 1-ლ ბატალიონის უფროსი ხუხუნაიშვილი აცხადებს, რომ გვარდიელმა დაჰკარგა პიროვნების მოწმობა 1445-თი ნომრით, რაიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 815 9—1

სისხლის სამ. საქ. წარ. წესდ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, ქ. ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწის დადგენილებით, ეძებენ იაკობ კარაპეტის ძე პეტიკიანცს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-169 მუხ. ძალით. პეტიკიანცი 15 წლისაა. ყველა, ვინც იცის სად. ცხოვრობს იგი, ვალდებულია განუცხადოს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება პეტიკიანცის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 418 1—1

გიორგი მიხეილის ძე ალანჯანოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 2087 მოცემული ყოფილი ტფილისის პოლიცმეისტრისაგან, პასპორტი გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 9458—1

### საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქვემოთ აღნიშნული საქონელი გაიყიდება ტფილისის ცენტრალ საწყობში 20 დეკემბერს 1918 წ. დილის 10 საათზე. გაუყიდავი საქონლის ხელმეორედ გაყიდვა მოხდება 21 დეკემბერს 1918 წ.

ტვირთი

მიღებული ტფილისში—ფოთი ნავთ-სადგურიდან № 15377 სპილენძი ნაჭრობით 131 ფუთი და 9 გირ.

მიღებული გორში ტფილისდან № 585854 სხვა და სხვა საქონელი 20 ფუთი, ტფილისიდან № 585772 სხვა და სხვა საქონელი 93 ფუთი, ტფილისიდან № 585853 სხვა და სხვა საქონელი 75 ფ. გომიდან № 26636 სხვა და სხვა საქონელი 10 ფუთი.

მიღებული რიონში—ქიათურიდან № 261961 თივის მოსაჭერი მანქანა (პრესი) დადებითი ფასი 34 მან. 94 კ. ბუაჩიძისაგან—ქორქაშვილი.

მიღებული ნავთლუღში ტფილისიდან № 583235 კასრი ტროფიმოვისაგან—ზედამხედველი პირველი სასურსათო მაღაზიის, ბათომის საქ. სადგურიდან № 88341 აუზი (რეზერვუარი) ტიომნისაგან—დოლმანი.

უდოკუმენტო ტვირთი ტფილისის საქონლის სადგურზე.

ბუფერის ჯამები 82 ფ., ონკანი (კრანი) 50 ფ., ბუფერის ჯამი 8 ფ. 30 გ., ძველი უვარგისი ტანასამოსი 306 ფ. 20 გ., ყუთი ხისა 4 ფ. 20 გ., თოკი კარავისთვის 16 ფ. 20 გ., სასწორი 11 ფ., წყლის ამოსაწურავი თუჯის მანქანა 9 ფ. 10 გ., სოლი ხისა კარავისთვის, დაზგა ხისა 12 ფ., სოლი ხისა 7 ფ., ნიჩაბი რკინისა 3 ფ. 30 გ., მილი რკინის 33 ფ. 20 გ., რკინეულობა 230 ფ., პურის საცხობი თავის მოწყობილებით 481 ფ. 35 გ., რელსი 431 ფ., რკინის მილი 61 ფ., რკინეულობა 382 ფ. 25 გ., კარავი 50 ფ. 30 გ., კარავი ლურჯი მაუდისა 16 ფ. 15 გ., თუნუქა 5 გ., რკალი რკინის 35 გ., ქვაბი თუჯის 7 ფ. 20 გ.

ნავთლუღში მიღებული უდოკუმენტოდ:

ტელეგრაფის სვაია № 633466 259 ცალი, № 538721 ათი ცალი თუჯის მილი, რკინის ფეჩი, სახურავი რკინის 11 ფ. 5 გ., 2 ცალი ამოსაწურავი 2 ფ. 10 გ., სასწორი 2 ფ., მაშინის ნაწილი 8 ფ. 30 გ., თუჯის ღუმელი 25 გ., კარი 500 ფ., 124 ნაჭერი ფოლადი, 57 ცალი რკინის ჯოხი, ჯირკვი ხისა, 5 ცალი ღუმელი კაფელისა 67 ფ., და 10 გ. 6 ცალი ეტლის ნაწილები (კუზოვი), 8 ცალი ეტლის ნაწილი, ექვსი ცალი ეტლის ნაწილი, 48 შეკ. სალეწი მანქანა. 813 1-1

### მთავარი საბაჟო

აცხადებს, რომ 2 ნოემბერს დილის 10 საათზე, მთავარ საბაჟოს ეზოში, რომელიც მოთავსებულია ანდრეევის ქუჩაზე, № 93, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით შემდეგი საქონელი: ღვინო, არაყი, ტყავი, გამხმარი ბოსტნეულობა, პაპიროსი, პაპიროსის ქაღალდი, თამბაქო, დოლებანდი (მარლა) და სხვა წვრიმალი ნივთები. 964 1-1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.